საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტითის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 3 სექტემბერი. 2019 წ. №173 (8839) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ბოროტი გასარეა

გადადგა... პრემიერ-მინისტრად!

რადგანაც ქვეყნის მტრული, დამანგრეველი ოპოზიციისთვის გახარია სრულიად მიუღებელია, რაც ამჟამინდელ შინაგან საქმეთა მინისტრზე მხოლოდ კარგს მეტყველებს, საქართველოს ხელისუფლებამ, **ქართველი ხალხის უმრავლესობის სახელით,** პრინციპული ვიცე-პრემიერი აუცილებლად უნდა დანიშნოს პრემიერ-მინისტრად ეგრეთ წოდებული გაერთიანებული ოპოზიციის **თავზარდასაცემად!**

საქართველოს მთავრობის განახლებულ შემადგენლობას პარლამენტის მხრიდან ნდობის გამოცხადება დასჭირდება

კონსტიტუციის გათვალისწინებით, პარლამენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან, პრემიერ-მინისტრის გადადგომიდან ან უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტიდან ორი კვირის ვადაში, ნდობას უცხადებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პარტიის მიერ დასახელებულ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატსა და მის მიერ წარდგენილ მთავრობას.

კონსტიტუციით, მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს სამთავრობო პროგრამა უნდა წარედგინოს. მინისტრთა კაბინეტს კი, ნდობის მისაღებად პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა დასჭირდება. რაც შეეხება მთავრობის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადადგომის საკითხს, კონსტიტუციით, პრემიერ-მინისტრს უფლებამოსილება გადადგომისთანავე უწყდება, თუმცა მთავრობა მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე განაგრძობს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ გუშინ განცხადება გავრცელა, რომ თანამდებობას ტოვებს. მანვე „ფეისბუქზე“ პოსტი გამოაქვეყნა, სადაც წერს: **„ჩემთვის იყო დიდი პატივი და ამავდროულად, დიდი პასუხისმგებლობა, მემსახურა საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში ჩვენი ქვეყნის ინტერესების დასაცავად. მე ვიყავი და ვიქნები „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი და ჩვენი ქვეყნის ერთგული ჯარისკაცი. მსურს, მადლობა გადავუხადო ჩემს წინამორბედებს და წარმატება ვუსურვო მომავალ პრემიერ-მინისტრს“.**

მცოცავი ანექსია ქართველთა-მოძულე, მატყუარა ოსების ④ ინტერესია და არა კრემლისა!

როცა ფულიანთა ენა სახრჩობელად მარყუჟდება! ②

ომარ მარგველაშვილი

⑥ პრობლემებით აღსავსე დედაქალაქი

არადა, თბილის-ქალაქი სიცოცხლის წალკოტად უნდა გაგვეხადა!..

ვაის გავეყარეთ, ვუის შევეყარეთ!.. ⑧

აქამდე ფუტკარს ფაროსანას წინააღმდეგ შეწამვლამ მიაყენა დიდი ზიანი, ახლა კი კრაზანისგან გვიწევს მათი დაცვა

სალომე ზურაბიშვილი: გადადგომას არ აფასებენ, ეს არის მისი გადაწყვეტილება

ასე შეაფასა საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა მამუკა ბახტაძის მიერ პრემიერ-მინისტრის პოსტის დატოვება.

„გადადგომას არ აფასებენ, ეს არის მისი გადაწყვეტილება. რაც შეეხება ახალი პრემიერის დანიშვნას, უნდა დაველოდოთ და მე პირადად დაველოდები, ჩავალ თბილისში. საერთოდ მივიჩნევ, რომ შიდაპოლიტიკურ მოვლენებზე პრეზიდენტები არ აკეთებენ განცხადებებს საზღვარგარეთ, რადგან ეს არის შიდა პოლიტიკური საკითხი. უნდა ჩავიდე, გავიგო რა ვითარება არის, შემდეგ შეიძლება განცხადებებისა და შეფასებების გაკეთება. მე ჰიპოტეტურ გადაწყვეტილებებზე ვერ გავაკეთებ კომენტარს, რაც არ უნდა შესაძლებელი იყოს, არ შევაფასებ. არაკორექტული იქნება, აქედან რომ შევაფასო პრემიერის ქმედებები და მისი მოღვაწეობა, რომელიც უნდა შეაფასოს ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ და პოლიტიკურმა პარტიებმა. ხვალ იქნება იმის დრო, რომ კომენტარები გაკეთდეს“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ბადრი მაისურაძე – კულტურის მინისტრად?!

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო შესაძლოა, კვლავ გაიყოს. ინფორმაციას ტელეკომპანია მაესტრო ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, კულტურის მინისტრი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი მაისურაძე იქნება. შეგახსენებთ, რომ ბადრი მაისურაძე 30 აგვისტოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა.

ბიძინა გეგიძის ნაცვლად, ირაკლი აბუსერიძე...

საპარლამენტო ფრაქციას „ქართული ოცნება — ძლიერი საქართველოსთვის“ ბიძინა გეგიძის ნაცვლად, ირაკლი აბუსერიძე უხელმძღვანელებს.

საქართველოს პირველი არხის ინფორმაციით, ფრაქციის თავმჯდომარედ ირაკლი აბუსერიძის არჩევის თაობაზე მმართველ გუნდში გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. ბიძინა გეგიძე საპარლამენტო უმრავლესობიდან გარიცხეს.

ქუვეითში საქართველოს ელჩი კონსტანტინე ჟღენტი იქნება

ქუვეითში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად კონსტანტინე ჟღენტი ინიშნება. მთავრობის განკარგულებით, მისი კანდიდატურა საქართველოს პრეზიდენტს წარედგინა და დიპლომატი მოღვაწეობას 15 სექტემბრიდან დაიწყებს.

ქუვეითში საქართველოს ელჩი როლანდ ბერიძე იყო. კონსტანტინე ჟღენტი კი წლების განმავლობაში საქართველოს ელჩად უზბეკეთში მუშაობდა.

როცა ფულიანთა ენა სახრჩობელად მარყუჟდება!

მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე ერთობლივ ულტიმატუმს ავრცელებენ!

TBC ბანკის დამფუძნებლებმა მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ გუშინ ერთობლივი „ულტიმატუმი“ გაავრცელეს.

„ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ გენერალურმა პროკურატურამ საქართველოში მოქმედი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები 6 სექტემბერს გენერალურ პროკურატურაში დახურულ შეხვედრაზე მიიწვია.

შეხვედრაზე დაგეგმილია პროკურატურის მიერ დაქირავებული ორი საერთაშორისო ექსპერტის მომზადებული დასკვნის წარდგენა ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმესთან დაკავშირებით.

გვსურს, შევახსენოთ პროკურატურას, რომ საქართველოს კონსტიტუციით, ასევე ნებისმიერ სამართლებრივ სახელმწიფოში დადგენილი წესის თანახმად, ერთადერთი ლეგიტიმური სივრცე, სადაც ბრალდების ორგანომ — პროკურატურამ უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაამტკიცოს პირის დამნაშავეობა, არის მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო პროცესი.

აღნიშნული დახურული შეხვედრა წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციითა და ცივილიზებულ სამყაროში დადგენილი პრინციპების უხეშ უპატივცემულობას. ჩვენთვის გაუგებარია, რას შეიძლება ემსახურებოდეს დახურულ კარს მიღმა მხოლოდ ერთი მხარის მიერ ინფორმაციის მიწოდება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე (რომელზეც ჯერ სასამართლო განხილვა არც კი დაწყებულა) გარდა იმისა, რომ სასამართლო პროცესამდე გაგვასამართლონ და გამოგვაცხადონ დამნაშავეებად.

ამგვარი შეხვედრით პროკურატურა ღიად ცდილობს ამ პოლიტიზირებულ საქმეზე, რომელსაც არ გააჩნია არანაირი სამართლებრივი საფუძველი, გადაწყვეტილების პასუხისმგებლობა გადაიტანოს დიპლომატიურ კორპუსზე. ეს მცდელობა აჩვენებს, რომ პროკურატურა გასულია სამართლებრივი ჩარჩოდან და ლეგიტიმაციის მწვავე კრიზისს განიცდის, როგორც ამ კონკრეტულ საქმეზე, ისე ზოგადად.

ასევე, გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ აღნიშნულ საქმეზე საჯარო განცხადებებს აქტიურად აკეთებენ მმართველი პარტიის წარმომადგენლები და მედიაში დეტალურად განიხილავენ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს. მმართველი პარტია საქმის სასამართლოში განხილვის დაწყებამდე, ფაქტობრივი გარემოებების გაყალბებულად და დამახინჯებულად გადმოცემით, ცდილობს სასამართლოს გადაწყვეტილებამდე შექმნას საზოგადოებრივი აზრი ამ საქმესთან დაკავშირებით.

ჩვენ მოვითხოვთ საქმის გამჭვირვალედ წარმართვას, საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გარანტირებული ყველა სტანდარტის დაცვით. თუ ხელისუფლებას აქვს სურვილი აღნიშნულ საქმეზე ჩართოს საერთაშორისო ექსპერტები, მივიჩნევთ, რომ ეს ექსპერტები უნდა იყვნენ არა პროკურატურის მიერ დაქირავებული იურისტები, მათი კვალიფიკაციის მიუხედავად, არამედ მისგან დამოუკიდებელი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე იურისტები, რომლებსაც მიეწოდებათ საქმის შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაცია და ექნებათ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად ჩამოიყალიბონ აზრი მიმდინარე საქმეზე“...

პროკურატურა მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს პასუხობს

საქართველოს პროკურატურაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში ბრალდებულ მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს პასუხობენ.

...„გამოძიება საწყისი ეტაპიდანვე მიმდინარეობს ღიად და გამჭვირვალედ. პროკურატურა ამ საქმეზე საზოგადოებასთან აქტიურ კომუნიკაციაშია და მუდმივად ახდენს დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას. ამასთან, დაცვის მხარეს ნებისმიერ დროს აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს მოპოვებულ მტკიცებულებებს და ჩაატაროს შემხვედრი მოქმედებები.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში, ბრალდების მხარის ინიციატივით, უკვე ჩართულები არიან უცხოელი, უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტები.

რაც შეეხება ბრალდებულთა მხრიდან გავრცელებულ ინფორმაციას 6 სექტემბერს დაგეგმილ ე.წ. დახურულ შეხვედრასთან დაკავშირებით, განვმარტავთ, რომ აღნიშნულ დროს არანაირი შეხვედრა არ იგეგმება, თუმცა უმაღლესი კვალიფიკაციის უცხოელი ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას აუცილებლად გაეცნობიან საერთაშორისო ორგანიზაციები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

აქვე დავძენთ, რომ აბსოლუტურად არაადეკვატური და მიუღებელია პრეზუმფციული ხასიათის ეჭვის შეტანა საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე იურისტების მიუკერძოებლობაში, მხოლოდ და მხოლოდ იმ საბაბით, რომ მათ საექსპერტო დასკვნის მომზადება საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ შესთავაზა.

ბრალდებულთა მხრიდან ექსპერტების საქმიანობის და პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენელთა ჩართულობის მიმართ ეჭვების დაფიქსირება, მათი მხრიდან პრევენციულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს წინმსწრებად დასკვნის დისკრედიტაციას.

ობიექტურობის და ადამიანის უფლებების დაცვის უმაღლესი სტანდარტის მაჩვენებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, ბრალდებულთა ინტერესების გათვალისწინებით, უარი თქვა საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებაზე, როდესაც მსგავსი შინაარსის საქმეებში მხილებული პირები სასამართლოს განაჩენს წინასწარ პატიმრობაში ხვდებიან. ამის ნაცვლად, მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე სასამართლოს გადაწყვეტილებას დაელოდებიან არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების პირობებში და არც მათი გადაადგილებაა შეზღუდული, მათ შორის, არც საზღვარგარეთის ქვეყნებში შესაბამისი თანხმობის შემთხვევაში.

საქართველოში სამართლებრივი პროცედურები მიმდინარეობს უმაღლესი სტანდარტების დაცვით და შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღება საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, რასაც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები.

ბრალდებულთა მხრიდან ნებისმიერი მსგავსი მცდელობის მიუხედავად, საქმეზე გამოძიება გაგრძელდება ობიექტურად, გამჭვირვალედ და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

ᯖᲝᲜ ᲰᲔᲠᲑᲡᲢᲘ: „ᲙᲠᲔᲛᲚᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ, ᲐᲘᲫᲣᲚᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲓᲝᲡ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ“

ᲡᲐᲛᲘ ᲙᲕᲘᲠᲐ გავიდა მას შემდეგ, რაც გუგუტიაანთკარში, ქართულ სოფელში, საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა „მცოცავი ანექსიის“ პროცესი განაახლეს და ახალი ე.წ. საზღვრების გავლება დაიწყეს. ბარიერებს მიღმა მოექცა ორი — რაზმაძეებისა და გუგუტიშვილების საცხოვრებელი სახლი და მიწის რამდენიმე ნაკვეთი.

ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი 2008 წლის ომიდან მეთერთმეტე წლისთავზე განახლდა. რუსეთის ფედერაცია კვლავ აგრძელებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების დარღვევას. ე.წ. სასაზღვრო ნაგებობებისა თუ ბარიკადების მშენებლობის გარდა, მშვიდობიან მოსახლეობას ეზღუდება გადაადგილების უფლება, ხდება მათი მოტაცება და წამება და მკვლელობაც კი. ამჯერად საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებიდან ოკუპანტებმა საქართველოს 8 მოქალაქე გაიტაცეს, რომელთა მდგომარეობის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.

„ქართული ტერიტორიების მიტაცების ეს მზარდი ტენდენცია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის შეთანხმების აშკარა დარღვევაა. ეს აჩვენებს, რომ მოსკოვი არ ასრულებს საკუთარ ვალდებულებებს“, — ამბობს ჯონ ჰერბსტი, „ატლანტიკური საბჭოს“ ევრაზიის ცენტრის დირექტორი. „მოსკოვი ცდილობს, ეს გამოიყენოს, აიძულოს თბილისი, გაიკეთოს ის, რაც კრემლს უნდა“. ჰერბსტის თქმით, მათ სურთ, რომ საქართველო ემორჩილებოდეს მოსკოვის სურვილებს და არ უნდათ, რომ საქართველოს დამოუკიდებელი პოლიტიკა ჰქონდეს, განსაკუთრებით კი — დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა.

„კრემლის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ რუსეთის მეზობლად მდებარე სახელმწიფოები არ არიან და არ უნდა იყვნენ სრულად სუვერენულები. მათ არათუ მხოლოდ უნდა გაითვალისწინონ, არამედ უნდა მიჰყვნენ მოსკოვის მითითებებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც მაგალითად ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაა. საქართველოს უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, დამოუკიდებელი პოლიტიკა აქვს. მოსკოვი ცდილობს, დაარწმუნოს საქართველო, რომ ამ პოლიტიკას გადახედოს. ეს წნეხის განხორციელების ფორმაა“, — განმარტავს ჰერბსტი.

შეკითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან „წითელი დროშების აფრიალება“ და საგანგაშო გზავნილების გაშვება, ჯონ ჰერბსტი ამბობს, რომ საერთაშორისო არენაზე ამ საკითხის დაყენება და ამ თემაზე საზოგადოების, განსაკუთრებით კი დასავლეთის ყურადღების მიქცევა მნიშვნელოვანია.

„მაგრამ, სამწუხაროდ, თუკი საქართველო დასავლეთისგან მეტ მხარდაჭერას ვერ მიიღებს, მაგალითად ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის გამო რუსეთისთვის სანქციების დაწესებას, ვეჭვობ, რომ ეს პროცესი არ შეჩერდება, სანამ მოსკოვში პოლიტიკის ცვლილების მოწმენი არ გავხდებით. ეს კი ბატონი პუტინის მმართველობისას ძნელი წარმოსადგენია, თუმცა ვინ იცის. ის იმავე პოლიტიკას ახორციელებს უკრაინის წინააღმდეგაც (უკრაინაში განხორციელებული აგრესიისთვის რუსეთი არაერთი სანქციის ობიექტი გახდა) და ადრე თუ გვიან მისი პოლიტიკა უკრაინის მიმართ უნდა შეიცვალოს. შეიძლება ამის შემდეგ ის საქართველოს მიმართაც შეიცვალოს“, — განმარტავს ჯონ ჰერბსტი, რომელიც 2003-2006 წლებში ამერიკის ელჩიც იყო უკრაინაში.

მისი თქმით, მიუხედავად ახლანდელი ხელისუფლების განსხვავებული მიდგომისა რუსეთის მიმართ, ქვეყნის დასავლური პოლიტიკური კურსი ეჭვქვეშ არ დგას.

ᲛᲐᲙᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲓᲐᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲪᲕᲔᲚ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მერიამ 2019 — 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის, სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით, განცხადებების მიღება დაიწყო.

დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ფინანსდებიან თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტუდენტები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში 70 000 ან ნაკლებია და სწავლობენ სახელმწიფოს მიერ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურზე.

სოციალურად დაუცველ სტუდენტებზე სწავლის დაფინანსების გაცემა ხდება სემესტრულად, წელიწადში ორჯერ, თითოეული სტუდენტის აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით, სასწავლო გრანტის ფარგლებში.

51-70 ქულის შემთხვევაში დაფინანსების ოდენობა იქნება 50%, 71-90 ქულის შემთხვევაში — 70 %, ხოლო 91-100 ქულის მქონე სტუდენტები მიიღებენ სრულ, 100 %-იან დაფინანსებას. დაფინანსების მისაღებად სტუდენტმა თბილისის მერიაში უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან; ცნობა უნივერსიტეტიდან წლიური გადასახადის მითითებით; უნივერსიტეტის საბანკო რეკვიზიტები და ანგარიშფაქტურა; უნივერსიტეტის მიერ გაცემული აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი (გარდა I სემესტრის სტუდენტებისა); რეკომენდაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (გარდა I სემესტრის სტუდენტებისა); სამოტივაციო წერილი.

რაც შეეხება I სემესტრის სტუდენტებს, სხვა დოკუმენტებთან ერთად, მათ უნდა წარმოადგინონ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული ქულებისა და შედეგების შესახებ ცნობა. განცხადებების მიღება გაგრძელდება მიმდინარე წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. დოკუმენტაცია და განცხადება უნდა წარადგინოს პირადად სტუდენტმა.

ᲥᲕᲔᲨᲔᲗᲘ-ᲙᲝᲑᲘᲡ 9-ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲡ ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲐᲐᲨᲔᲜᲔᲑᲡ

ᲥᲕᲔᲨᲔᲗᲘ-ᲙᲝᲑᲘᲡ ახალი გზის მონაკვეთს, რომელიც 9-კილომეტრიანი გვირაბის მშენებლობას მოიცავს, ჩინური კომპანია China Railway Tunnel Group ააშენებს.

კომპანიასა და გზების დეპარტამენტს შორის ხელმოსაწერი ხელშეკრულება საქართველოს მთავრობამ მოიწონა. დოკუმენტი, სავარაუდოდ, მიმდინარე კვირაში გაფორმდება. აგვისტოში უკვე გაფორმდა ხელშეკრულება ქვეშეთი-კობის 13-კილომეტრიანი საგზაო მონაკვეთის მშენებლობაზე. მას კომპანია Shina Railway @#rd Bureau Group ააშენებს. მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის ძირითადი დამფინანსებელი აზიის განვითარების ბანკია, რომელიც საქართველოს 415 მილიონ დოლარს გამოუყოფს.

ინფრასტრუქტურის სამინისტროში აცხადებენ, რომ ახალი მაგისტრალი მოაგვარებს არსებულ პრობლემებს და სატრანზიტო მიმოსვლა წელიწადის ნებისმიერ დროს შეუფერხებლად იქნება შესაძლებელი. გვირაბი უზრუნველყოფს ზამთრის პერიოდში მგზავრების უსაფრთხო და საიმედო გადაადგილებას და ახალი გზა აარიდებს სატრანსპორტო ნაკადს ყაზბეგის ეროვნულ პარკსა და გუდაურის ზამთრის კურორტს.

ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ 5 000 ᲢᲝᲜᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ

ᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ საკოორდინაციო შტაბის ინფორმაციით, კახეთის რეგიონში 5,5 ათასი ტონა ყურძენია გადამუშავებული, აქედან ორი ათას ტონამდე საფერავი, 1,3 ათასი ტონა რქაწითელი, 800 ტონამდე კახური მწვანე და დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

დღის მდგომარეობით, კახეთის რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, ყურძნის გადამუშავების პროცესში 25 ღვინის საწარმოა ჩართული. რთველის საკოორდინაციო შტაბში უკვე დარეგისტრირებულია 100 ღვინის მწარმოებელი კომპანია, რომლებიც რთველის პროცესში სხვადასხვა ეტაპზე ჩაერთვებიან. წელს კახეთის რეგიონში 200-250 ათას ტონამდე ყურძნის მოსავალს ელოდებიან.

რთველის საკოორდინაციო შტაბის უფროსის **ლევან მეხუზლას** განცხადებით რთველის პროცესში სახელმწიფო ჩართულია მოსავლის აღრიცხვიანობისა და ორგანიზებულად დაბინავების მიმართულებით და არ ერევა ფასწარმოქმნასა და თავისუფალი ბაზრის რეგულაციაში. მისი თქმით, თუ ბაზარზე ჭარბი ყურძენი იქნება, ამ მიმართულებით რისკები და მევენახეების ინტერესები დაცულია და არც ერთი კილოგრამი ყურძენი ჩაუბარებელი არ დარჩება.

მცოცავი ანექსია ქართველთმოძულე, მატყუარა ოსების ინტერესია და არა კრემლისა!

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 12-18 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა წერილი, რომელსაც სათაურად უზარმაზარი ასოებით აწერია: „ვლადიმერ პუტინის საკითხავი“, ხოლო ქვესათაურად აქვს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ შოთა ვადაჭკორიას მიერ საარქივო მასალების გაცნობის შედეგად გამოტანილი დასკვნა: „რუსი ბოლშევიკების მიერ დაფინანსებულმა და გულმოცემულმა ოსებმა 1918-1920 წლებში ქართველებს გენოციდი აძეთ მოგვიწყვეს!“

ეს წერილი, პირველ ყოვლისა, ოსებს უნდა წავაკითხოთ.

წამკითხველებში რომელ ოსებს ვგულისხმობ? ცხინვალში მოკალათებულ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტ ბიბილოვს, მის ადმინისტრაციას, „ნაზირვეზირებს“, მის ცრუ ისტორიკოსებს, აგრეთვე ფულიან სავარძლებს ჩაჭიდებულ ქართველთმოძულე ადამიანებს, რომლებიც „სხვის თვალში ბეწვსაც ხედავენ, ხოლო საკუთარში – დირესაც ვერა!“

ბატონი შოთა პირდაპირ წერს, რომ: „არქივში მუშაობისას, როცა ოსი ბანდიტების მიერ სამაჩაბლოში დატრიალებულ უბედურობებს დოკუმენტურად ვეცნობოდი, ხშირად ვტიროდი“!

უფრო შორიდან დავიწყებ: ორი თვის წინათ ნაციონალების მიერ მოწყობილი პროვოკაციით – ე.წ. „გავრილოვის ღამით“ და განსაკუთრებით უზნეო გიორგი გაბუნიას გაუგონარი გინებით პუტინისადმი, საქართველო დიდ უბედურებას გადაურჩა და ლამის ეკონომიკურ კოლაფსში ჩაგვაგდო. სანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მომჭრაო!“ ენის გამო და ცალკეული პროვოკაციული ფაქტების გამო იწყებოდა ხოლმე სახელმწიფოებს შორის ომები.

წარმოვიდგინოთ: ამ გინებას უსმენს მთელი მსოფლიოს რუსულენოვანი სამყარო, უსმენს კრემლი, უსმენს იმ არმიის სარდლობა, რომელთა არმიაც შიშის ზარს სცემს მთელ მსოფლიოს და გამოდის ეს გათავხედებული ნაბიჭვარი და ტელევიზორის ეკრანიდან უწმაწური სიტყვებით აგინებს ვეებერთელა ქვეყნის პრეზიდენტს. ისევე, როგორც 2008 წელს რუსული რაკეტები ხვდებოდა (თბილისში თუ სხვაგან) საკვანძო, სტრატეგიულ ობიექტებს, ახლაც ადვილი შესაძლებელი იყო ე.წ. წერტილოვანი დარტყმებით ისეთივე ბომბები მოხვედროდა სატელევიზიო ანძას მთაწმინდაზე და ტელევიზია „რუსთავი-2“-ის შენობას.

რასაკვირველია, იქნებოდა მსხვერპლიც. ვინ მოსთხოვდა პასუხს რუსეთს? – არავინ და ვერავინ! იმიტომ, რომ **ბომბზე უარესი იყო გაბუნიას გინება!** რამ გადაგვარჩინა? – მეორე დღეს აღშფოთებული ხალხი(ქართველები) მიიჭრნენ „რუსთავი-2-ის“ შენობასთან და მოითხოვეს გაბუნიას დასჯა (ჩვენს უნიათო ხელისუფლებას ეს ხულიგანი ჯერაც არ ჩაუყუდებია ციხეში. ამიტომ ამ დღეებშიც ასე განაცხადა: ეს რომ ვთქვი, სწორად მოვიქეცი!). ეს დაინახა პუტინმა და მიხვდა,რომ ყველა ქართველი ამ თავხედივით არ ფიქრობს! თუმცა, რუსეთის დუმამ ერთობლივად (ერთმა დეპუტატმაც კი არ შეიკავა თავი!) მიიღო დადგენილება საქართველოსთვის ეკონომიკური სანქციების შემოღების შესახებ. პუტინმა თქვა: „ქართველების პატივისცემის გამო ამ სანქციებს ხელს არ ვაწერო!“ (თუმცა, სანქციები „ფარულად“ მაინც ხორციელდება: არ აღმდგარა ავიამიმოსვლები, მთელი რიგი რუსეთში შეტანილი ქართული პროდუქტები უკან ბრუნდება).

„ქართველების პატივისცემის გამო“ – ეს ნათქვამი პოლიტიკური ჟესტია. ნამდვილი პატივისცემა რომ ჰქონდეს პუტინს ქართველებისა, სხვანაირად იქნებოდა ჩვენი საქმე!

ბიბილოვი, კოკოითი და სხვა სეპარატისტები ფეხქვეშ ეგებიან რუსეთის პრეზიდენტს და ქართველ-ოსთა ურთიერთობის შესახებ გაყალბებულ ისტორიას აწვდიან. სამწუხაროდ, პუტინი მათ უჯერებს და ერთი თვის წინათ მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა: **ქართველები ოსებს გენოციდს უწყობდნენო.** ეს რომ მოისმინეს, უცებ დაფაცურდნენ ცხინვალში და ჯერ ხომ მათმა პარლამენტმა „გენოციდი“ აღიარა, შემდეგ რუსეთის დუმის წინაშე დააყენეს საკითხი: მათაც აღიარონ ოსების გენოციდი(!) **წარმოიდგინეთ, რუსეთის დუმაში ამ საკითხის განხილვას მართლა აპირებენ! მინდა, ცივი წყალი გადავასხა ოსი სეპარატისტების იმედებს: რუსეთის დუმა გენოციდს არ აღიარებს, იმიტომ, რომ იგი არასოდეს ყოფილა!**

„პირიქით კი იყო! წაიკითხეთ, ბატონებო, „ასავალ-დასავალში.“ ზემოდასახელებული წერილი და სიმართლეს გაიგებთ!** ოსთა იმდროინდელ 250-კაციანი ბანდიტები გაუგონარი სისასტიკით კლავდნენ ქართველებს და ამაზე საქართველოს იმდროინდელ მთავრობას რეაგირება არ მოეხდინა? როგორც ზემოდასახელებულ წერილშია აღნიშნული, თურქეთში გასაგზავნი სამხედრო ნაწილები 1918 წელს ცხინვალში შემოაბრუნეს და მათი სარდალი **ვალიკო ჯუღელი** დეპეშით თბილისში საქართველოს ეროვნულ საბჭოს აცნობებდა: **„ოსმა ბანდიტებმა თავი შეაფარეს ერთ-ერთ ოსურ სოფელს. ჩვენ არ ვესვრით სოფელს ზარბაზნებს და ბანდიტებს ვუტოვებთ ერთ გასასვლელს, რათა მშვიდობიან ოსურ მოსახლეობაში მსხვერპლი არ იყოს“...**

ეს არის გენოციდი?

ამავე წერილ-ინტერვიუში წერია: „ხარებოვის ბანდამ ააწიოკა, გაძარცვა და ააოხრა შემდეგი ქართული სოფლები: ავლევი, არადეთი, აბისი, ბელოთი, ზემო ხვედურეთი, თედელეთი, ქარელი, ხელათგორი, იგოეთი, გნოლევი, კეხიჯვარი, კასპი, მეჯვრისხევი, ნიჩბისი, ოსიაური, სახორისი, საციხური, სანებელი, ყინწვისი, ყორნისი, ცერონისი, სხვილეთი, წვერი, წაღვერი და ხოვლე...“ **აი, ეს იყო გენოციდი!**

განა ასეთივე საშინელებები არ ხდებოდა 2008 წლის 4-5-დღიან „ომში“ და უფრო ადრე, სანამ ეს „ომი“ დაიწყებოდა? ოსები ხედავდნენ, რომ არაადეკვატურად იქცეოდა სააკაშვილი, პუტინს დასცინოდა! მისი მთავარსარდალი ოქრუაშვილი ყრანტალებდა – „რუსეთში ფეკალიებიც იყიდებაო“ და რუსებიც მიზეზებს ეძებდნენ მათ დასამხობად. ამიტომაც, აგვისტოს წინა დღეებში ოსები წარამარა ესხმოდნენ თავს ქართულ სოფლებს! იყო მსხვერპლიც. ამ პროვოკაციაზე წამოეგო ამბიციური სააკაშვილი და მძინარე ცხინვალს ჭურვები დაუშინა! რუსებსაც ეს უნდოდა?!

დღემდე გრძელდება უაზრო კამათი: ვინ დაიწყო ომი? ნუთუ ეს არის მთავარი? თუ ის, რატომ დაიწყო? რატომ არ უსვამენ ხაზს იმას,რომ ამ ომში ორივე მხარე მართალია და ორივე მხარე დამნაშავეა? სააკაშვილი მართალი იყო იმაში, რომ თავის სახელმწიფოში წესრიგის დამყარებას შეეცადა, მაგრამ დამნაშავე იყო პუტინის შეურაცხყოფაში და პირველად მასიურად კონფლიქტის გაჩაღებაში. პუტინი მართალი იყო იმაში, რომ დასასჯელი იყო სააკშვილი, მაგრამ დამნაშავე იყო იმაში, რომ სხვა სახელმწიფოში შეიჭრა! ძლიერი იყო და გაუვიდა! ძველი წყენებიც ახსოვდა რუსეთს: საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა და ა.შ.

„გაღმა შეედავე და გამოღმა შეგრჩებაო“ – ამ პრინციპით მოქმედებენ სეპარატისტი ოსები. **ისტორიულად ცნობილი ქართველთა და ოსთა ძმობა მათ ფეხქვეშ გათელეს (ცნობილია, რომ შერეული ქორწინებები ქარველ ერს ყველაზე მეტი ოსებთან ჰქონდათ).** ამ მტრულ პროცესში უბრალო ოსი ხალხი და უბრალო ქართველი ხალხი მხოლოდ კარიერისტი ნომენკლატურის, ორივე მხრიდან თანამდებობრივ სავარძლებს დახარბებული და ელიტურ კორუფციაში ჩაფლული ადამიანების ამბიციებს ეწირებიან.

„ასავალ-დასავალში“ დაბეჭდილი წერილი ყველამ უნდა წაიკითხოს: სეპარატისტმა თუ უბრალო ოსმაც. აგრეთვე „ყველანაირმა „ქართველმაც. მთავარი კი ის არის, რომ ეს წაიკითხონ კრემლშიც, წააკითხონ ვლადიმერ პუტინსაც, რომელიც გენოციდზე ალბათ იმიტომ ალაპარაკდა, რომ რუსეთის შემოჭრა გაამართლოს საქართველოში და თანაც მსოფლიოს დაავიწყოს მათ მიერ მოწყობილი გენოციდი ჩეჩნეთში!

მოსკოვის ქართულმა დიასპორამ (აგრეთვე ჩვენმა პატრიოტმა ადამიანებმა) ეს წერილი რუსულად სასწრაფოდ უნდა თარგმნონ და მთელ რუსეთში გაავრცელონ, **პირველ რიგში კი რუსეთის დუმის დეპუტატებს და, რასაკვირველია, ვლადიმერ პუტინს დაუდონ ცხვირწინ!**

* * *

დაბოლოს სწორედ თბილისში დღეს მიმდინარე იდიოტური ანტისაოკუპაციო მიტინგებით, არეულობებით და დაპირისპირებებით სარგებლობენ სეპარატისტები და ე.წ. საზღვრებს ახალ-ახალ ადგილებში ავლებენ. ამას აკეთებენ, პირველ ყოვლისა, ცხინვალში მოკალათებული ქართველთმოძულე ოსები. ტელევიზიაში ალბათ ნახეთ, როცა ბოძებს ამაგრებდნენ, იქ ნიღბიანი სამხედრო ფორმებიანებიც იდგნენ. ვის უმალავენ სახეს და ისინი ვინ არიან? – სახეს უმალავენ ქართველებს და ისინი ოსები არიან! ისინი აქეზებენ რუსებს და ტერიტორიას აფართოებენ. ვფიქრობ, რომ ეს პირველ რიგში ცხინვალის ინტერესია და არა კრემლისა.

უშანგი ჯანგირაშვილი
ქ. ბორჯომი

მესტია-ამბროლაურში ფრენებზე მოთხოვნა გაიზარდა

საქართველოში შიდა ფრენებზე მოთხოვნა გაიზარდა. „აკ-ეარ ჯორჯიას“ მიერ „ბიზნესპრესნიუსისთვის“ მიწოდებული ინ-ფორმაციის თანახმად, 2019 წლის 7 თვეში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რეისების შესრულება 20,1%-ით, ხოლო გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა 26,0%-ით გაიზარდა.

კერძოდ, მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში მესტიის მიმართულებით შესრულებული რეისების რაოდენობა ორივე აეროპორტიდან ჯამურად 24%-ით გაიზარდა, ხოლო გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა – 26 %-ით. ამასთან, რეისზე მგზავრის დატვირთვის კოეფიციენტი 2018 წელს 88,6%-ს შეადგენდა, ხოლო 2019 წელს – 90%-ს.

„აკ-ეარ ჯორჯიას“ ინფორმაციით, ქუთაისი-მესტია-ქუთაისის ავიარეისებზე გადაყვანილ მგზავრებში საქართველოს რეზიდენტი პირები არიან 10%, ხოლო 90% – უცხოელი ტურისტები. რაც შეეხება, ნატახტარი-მესტია-ნატახტარის ავიარეისებს, გადაყვანილ მგზავრებში 20% საქართველოს რეზიდენტია, 80% კი – არარეზიდენტი, ანუ უცხოელი ტურისტი.

მგზავრთა რეზიდენტობის მხრივ, 2018 წელს 24 % იყო ადგილობრივი და 76% ტურისტი.

რაც შეეხება ამბროლაურის მიმართულებით ფრენებს, შესრულებულ ავიარეისებში ზრდა შეადგენს 10%-ს, ხოლო გადაყვანილ მგზავრებში – 25,6%-ს. 2018 წელს 99% მგზავრის იყო საქართველოს რეზიდენტი პირი და მხოლოდ 1% – უცხოელი ტურისტი.

„აკ-ეარ ჯორჯიას“ ინფორმაციით, 2019 წელს 2018 წელთან შედარებით ყველა მიმართულებით ფრენებზე, ავიაბილეთების ფასში ცვლილება არ ყოფილა.

ცნობისთვის, ნატახტრიდან მესტიის მიმართულებით ერთი გზის ღირებულება 90 ლარია, 12 წლამდე მოზარდისთვის – 63 ლარი, ხოლო 3 წლამდე ბავშვისთვის მგზავრობა უფასოა. ქუთაისიდან მესტიის მიმართულებით, ისევე როგორც ნატახტრიდან ამბროლაურის მიმართულებით, ერთი გზის ფასი 50 ლარია, 12 წლამდე მოზარდისთვის – 35 ლარი, ხოლო 3 წლამდე ბავშვებისთვის – უფასო.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავიხიოთ უკან!

ინტერვიუ საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხთა სპეციალისტ **გიორგი გოგრონიძესთან**

— ბატონო გიორგი, გუშინ ცნობილი გახდა, რომ 24 აგვისტოს სოფელ ჩორჩანის ტყეში ქართულმა მხარემ გზა გაიყვანა და იქ პოლიციის საგუშაგო განათავსა. რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება თბილისმა ახლა და რატომ მაინცდამაინც ამ ტერიტორიაზე? თქვენი აზრით, რას შეიძლება, უკავშირდებოდეს ეს და რა გეგმა აქვს თბილისს?

— ვხედავთ, რომ ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ზონაში თითქმის ყოველდღიურად ირღვევა ჩვენი მოქალაქეების უფლებები — იტაცებენ ხალხს და მათ საკუთრებას. აქედან გამომდინარე, გამყოფ ხაზთან ჩვენი პოლიციური ძალების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია. მე ვიტყოდი, რომ ეს ჩვენი მხრიდან საკმაოდ ეფექტური და წარმატებული ოპერაცია იყო. ამის აუცილებლობა ნამდვილად არსებობს. ერთია, რომ ჩვენ არ ვაღიარებთ ამ ე.წ. საზღვრების არსებობას, მაგრამ ფაქტობრივი რეალობა გვაქვს ასეთი, რომ არსებობს ოკუპირებული ტერიტორიები და საოკუპაციო გამყოფი ხაზი, სადაც მთავრდება ჩვენს მიერ კონტროლირებადი ტერიტორია და იწყება რუსეთის მიერ ოკუპირებული ზონა. ასე, რომ ქართული მხარის ნაბიჯი მისასალმებელია.

— მაგრამ რატომ ხდება ეს მაინდამაინც ახლა და რატომ მაინცდამაინც ამ ტერიტორიაზე?

— რატომ შეირჩა ეს პერიოდი და ეს დრო, ცოტა რთული სათქმელია — აქ ნებისმიერი შეფასება შეიძლება, დაემსგავსოს რაღაც შეთქმულების თეორიებს, რადგან ჩვენ არ ვიცით, კონკრეტულად რა მოტივი ჰქონდა სახელმწიფოს, როცა ეს გადაწყვეტილება მიიღო. შეიძლება, ეს დაკავშირებული ყოფილიყო გუგუტიანთკარის თემასთანაც — „თუ ოსები ამას აკეთებენ, მოდით, ჩვენც შეგიქმნით პრობლემებსო"; შეიძლება, არსებობდა რისკი, რომ დამატებით უკვე ამ მიმართულებითაც გააქტიურებიან ოსები... მაგრამ თუ ხელისუფლება ეცდება, გამოიყენოს ეს თემა თავისი პოლიტიკური ქულების გასამრავლებლად, ეს იქნება ძალიან ცუდი ქვეყნისთვის: ეს არ არის თემა, რომელზეც შეიძლება, ააწყო პოლიტიკური კარიერა, დაგეგმო წინაასაარჩევნო კამპანია. ამ თემებით არ ვაჭრობენ და იმედი მაქვს, ეს ყველაფერი ნამდვილად არ უკავშირდება რაღაც წინასაარჩევნო მოქმედებას.

თუ ეს გაკეთდა პრინციპით „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს", კარგია, შეიძლება, ეს არ გაკეთდა ადრე, რადგან იყო რაღაც მცდელობა რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკებების, დათმობებზე წასვლის. ჩვენს ხელისუფლებას ხომ, სამწუხაროდ, აქვს ერთგვარი დაყვავების პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში, რათა არ გააღიზიანოს, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ვხედავთ, ეს პოლიტიკა არ მუშაობს და არ მუშაობდა 90-იანი წლებიდან. მოსკოვთან ძალიან რთულია დაყვავების პოლიტიკის წარმოება, მას მხოლოდ ძალისმიერი არგუმენტი ესმის. გასაგებია, რომ არ შეგვწევს ძალა, ვაიძულოთ მოსკოვი, რაღაც ნაბიჯები გადადას და უკან დაიხიოს, მაგრამ ელემენტარულად რაც არის მთავრობის ფუნქცია — დაიცვას საკუთარი მოქალაქეები და ძროხას რომ გაეკიდება მწყემსი, არ დაიჭირონ და ცხინვალის იზოლატორში არ აღმოჩნდეს — ეს შეუძლია, გააკეთოს და უნდა გააკეთოს კიდეც ხელისუფლებამ.

ის, რაც სადღეისოდ გააკეთა ქართულმა მხარემ, ჩემი აზრით, ასეთი ღონისძიებები უნდა დაწყებულიყო გაცილებით ადრე და უნდა ყოფილიყო გაცილებით უფრო მასშტაბური, რადგან ჩვენ გვჭირდება ოკუპირებული ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე ძალიან მკაცრი და სერიოზული კონტროლი.

— რამდენიმე დღის წინათ ოსურმა მხარემ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გამართული 95-ე შეხვედრა სწორედ ჩორჩანას საკითხის გამო ჩაშალა. გვესაუბრნენ ულტიმატუმის ენით. რა საფრთხეებს შეიძლება უკავშირდებოდეს ეს ყველაფერი ჩვენთვის?

— ვფიქრობ, შეიძლება, ჩვენი მოქალაქეების გატაცების ფაქტები კიდევ უფრო გახშირდეს. თუმცა სამხედრო გართულება ამ მიმართულებით სადღეისოდ ნაკლებ სავარაუდოა, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს წინააღმდეგ ახალი აგრესიის განხორციელების პოლიტიკური ფასი დღევანდელ საერთაშორისო მოცემულობაში წესით, ძალიან მაღალი იქნება რუსეთისთვის. რთულია, ვიმსჯელოთ, რამდენად რაციონალური აქტორია მოსკოვი, მაგრამ მაშინ, როდესაც რუსეთი ცდილობს, შეარბილოს სანქციები, გააუმჯობესოს ურთიერთობა ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან, მან რომ უცებ კვლავ მიიღოს აგრესორის სტატუსი, ეს მისთვის ძალიან ცუდი იქნება. და არც სოფელ ჩორჩანას გააჩნია ის ღირებულება, რომელიც რუსეთს აგრესორის სტატუსად უღირს. დღეს ვითარება შეცვლილია იმ მიმართულებით, რომ საქართველო უფრო ადვილად მიიღებს საერთაშორისო მხარდაჭერას, ვიდრე მიიღებდა თუნდაც რამდენიმე თვის წინათ, რადგან რუსული საგარეო პოზიციები მეტ-ნაკლებად მაინც შესუსტებულია. გასაგებია, რომ ცალკეული ევროპელი ლიდერები შეიძლება, რაღაც შერბილებულ განცხადებებს აკეთებდნენ, მაგრამ ჩვენ მოვისმინეთ ამერიკელი სენატორების, ასევე ევროკავშირის ლიდერი არაერთი სახელმწიფოს პოზიციები, რომ არ შეიძლება, რუსეთი დღეს მივიღოთ, როგორც თანასწორი წევრი იგივე „დიდ რვიანში"...

რაც შეეხება დე ფაქტო ხელისუფლების განცხადებებს, ის ამ შემთხვევაში უბრალოდ ცდილობს, „შეინარჩუნოს სახე", თუნდაც შიდა აუდიტორიასთან მიმართებაში, რადგან გამოდის და ათასგვარ ტერიტორიულ პრეტენზიას გვიყენებს, მაგრამ უცებ აღმოჩნდა, რომ ჯამში, არც ისე აკონტროლებენ ვითარებას, როგორც წარმოედგინათ. თუმცა, ცხადია, საქართველოს შესახებ გადაწყვეტილებას არა ცხინვალში, არამედ მოსკოვში იღებენ და ვიმეორებ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ნაკლებად სავარაუდოა სერიოზული სამხედრო კონფრონტაცია, თუმცა იქნება ვითარების დაძაბვის მცდელობები და იქნება მცდელობა მუდმივ რეჟიმში იმისა, რომ შეგვიქმნან დამატებითი დისკომფორტი. თუმცა ეს ჩვენ ისედაც არ გვაკლდა — დაწყებული ჩვენი მოქალაქეების მკვლელობებით, გატაცებებით და დამთავრებული კერძო საკუთრების ხელყოფით.

— რა უნდა მოიმოქმედოს შექმნილ ვითარებაში თბილისმა? გამოსავალს რაში ხედავთ?

— ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავიხიოთ უკან. კიდევ უნდა დავამატოთ პოლიციის საგუშაგოები. ამჟამად ძნელია პროგნოზირება, გახსნიან თუ არა სხვა მიმართულებითაც. რაც მთავარია, უნდა გვქონდეს ძალიან მიზანმიმართული, დროში გაწერილი, კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული, კოორდინირებული პოლიტიკა ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში და კონკრეტული გეგმა, როგორ უნდა უზრუნველვყოთ ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ზონაში ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოება, რათა ადამიანი რომ გამოვა სახლიდან, საღამოს ისევ დაბრუნდეს შინ მშვიდობით. ეს გეგმა თანაბრად მხარდაჭერილი და ლობირებული უნდა იყოს როგორც მთავრობის, ასევე ოპოზიციის მხრიდან. ერთ ხმაში უნდა საუბრობდნენ.

„აქცენტი"

ირაკლი ანთაძე:

ჩორჩანაში საპოლიციო საგუშაგო არ მოიშლება!

ჩორჩანაში სტანდარტული საპოლიციო საგუშაგოს მოშლის საკითხი არ განიხილება, — ამის შესახებ ჟურნალისტებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ირაკლი ანთაძემ განუცხადა. ანთაძე ერგნეთში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრას ესწრება, რომელიც ტექნიკური ხასიათისაა.

„დღევანდელი ტექნიკური შეხვედრა წარმოადგენს რამდენიმე დღის წინათ ჩორჩანაში გამართული ტექნიკური შეხვედრის გაგრძელებას. ჩვენი მიზანია, რომ მოხდეს სიტუაციის დეესკალაცია და შენელდეს დაძაბულობა, რაც შეინიშნება საოკუპაციო ხაზის მეორე მხარეს, რადგან ჩორჩანაშიც დავამტკიცეთ და აქაც გვინდა, კიდევ ერთხელ გავაჟღეროთ, რომ აღნიშნული სტანდარტული საპოლიციო საგუშაგო დაკომპლექტებულია სტანდარტული პირადი შემადგენლობით და მათ აქვთ სტანდარტული ეკიპირება. იგი არ შეიძლება, იყოს რაიმე საფრთხის შემცველი, პირიქით, მისი ამოცანა ადგილზე უსაფრთხოების გარემოს უზრუნველყოფაა. ჩვენ გვსურს, ვისაუბროთ იმ ნაბიჯებზე, რაც ხელს შეუწყობს დაძაბულობის გრადუსის დაწევას, უპირველეს ყოვლისა, საოკუპაციო ხაზს მიღმა მდებარე სოფლებში, რათა ყველა დარწმუნდეს, რომ ადგილზე აუცილებელია სტაბილური გარემოს შენარჩუნება, რომ აღნიშნული პოსტი უზრუნველყოს სიმშვიდეს და სტაბილურობას და, რა თქმა უნდა, ის მდებარეობს ერთმნიშვნელოვნად საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

აღნიშნული სტანდარტული საპოლიციო საგუშაგოს მოშლის საკითხი არ განიხილება და ეს არ არის დღის წესრიგში. ჩვენ ვსაუბრობთ მხოლოდ იმ ნაბიჯებზე, რაც ხელს შეუწყობს ადგილზე დაძაბულობის გრადუსის დაწევას და ბოლოს მოუღებს იმ აჟიოტაჟს, რაც მუდმივ სტრესში ამყოფებს განსაკუთრებით საოკუპაციო ხაზს მიღმა სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას.

ამასთან, მან კომენტარი გააკეთა გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომლის თანახმადაც, ახალგორის მოსახლეობის ნაწილი გააფრთხილეს, რომ ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის ჩაკეტვა იგეგმება.

„რაც შეეხება ახალგორთან დაკავშირებულ საკითხს, ვაპირებ შესაბამის შეხვედრის მონაწილეებს მივმართო ამ შეკითხვით, ვინაიდან გარკვეული პერიოდულობით და გამოგონილი მიზეზით ხდება ხოლმე ამგვარი ქმედებები, რაც უკანონოდ ზღუდავს თავისუფალი გადაადგილების უფლებას და არ უწყობს ხელს უსაფრთხოების გარემოს გაჯანსაღებას.

მივმართავ შესაბამის მონაწილეებს ამ კითხვებით, ვინაიდან მსგავს შემთხვევებში საჭიროა სიზუსტე და ინფორმაცია უნდა მივიღოთ უშუალოდ პირველწყაროსგან", — განაცხადა ირაკლი ანთაძემ.

ღვინო „კახეთს", სულგუნსა და „ბორჯომს" ვერავინ მიითვისებს

საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობისა და წარმოშობის წყაროს დასახელებების დაცვის შესახებ ხელშეკრულება ამოქმედდა. საქართველოში შვეიცარიის საელჩოს ცნობით, შეთანხმებით გათვალისწინებულია შემდეგი ქართული დასახელებების დაცვა — ღვინო „კახეთი", სულგუნი და „ბორჯომი".

ამასთან, საქართველოში დაცული იქნება ისეთი აღნიშვნები, როგორიცაა Tête de Moine, Gruyère, შვეიცარიული შოკოლადი და შვეიცარიული საათები. გარდა ამისა, წარმოშობის წყარო „შვეიცარია",კანტონების დასახელება და შვეიცარიის დროშა.

არადა, თბილის-ქალაქი სიცოცხლის წალკოტად უნდა გაგვეხადა!..



პრობლემებით აღსავსე დედაქალაქი

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით თბილისელთა ყურადღება მიიპყრო ცნობილი მწერლის გურამ ფანჯიკიძის კრიტიკულმა სტატიამ – „თბილისი, გუშინ, დღეს, ხვალ“. მწერალი ყურადღებას ამახვილებდა დედაქალაქში არსებულ ნაკლოვანებებზე – ობიექტურად, საქმის ღრმა ცოდნით, გულისტკივილით, კეთილმოსურნე თბილისელის პოზიციიდან.

სტატიამ, რომელიც ცენტრალურ პრესაში დაიბეჭდა, დიდი გამოხმაურება ოვა საზოგადოებაში, რომელიც იზიარებდა ავტორის კრიტიკულ შეფასებას, თან იმედოვნებდა, რომ მწერლის მიერ ნასროლი ბასრი ისარი მიზანს მიაღწევდა.

ცნობისთვის შეგახსენებთ – იმჟამად გაზეთში გამოქვეყნებულ კრიტიკას, სატელევიზიო გადაცემას, ქვეყნის ხელმძღვანელების მიმართ მიწერილ წერილს უმალ მოჰყვებოდა ხოლმე საკითხის შესწავლა და გადამჭრელი ზომების მიღება.

ხალხისა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება ძველ ცხოვრებაში ჩარჩა, მივიწყებას მიეცა. არადა, მას სწორედ დამოუკიდებელი ცხოვრების პირობებში უნდა ჰქონოდა მეტი გასაქანი, ვიდრე საბჭოური ცხოვრების დროს.

თანამედროვე ცხოვრება გაჯერებულია სუბიექტური ინფორმაციით, ტყუილ-მართლით, კრიტიკით, ლანძღვა-გინებით, დაუმსახურებელი ქება-დიდებით და სხვა მრავალი ნეგატიურით, რამაც საზოგადოების ყურადღება ისე მოადუნა, რეაქციაც კი აღარ აქვს.

ანალოგიური სენი ხელისუფლებასაც შეეყარა. მას არ აინტერესებს რას წერენ გაზეთები, რას ამბობს ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი – აქებენ თუ აგინებენ მას. ერთი სიტყვით, ხელისუფლება სრულ ინდიფერენტიზმს ავლენს მედიაში გამოქვეყნებული კრიტიკის მიმართ. მისი დევიზი მარტივია, ისეთი, საუკუნეებს რომ გაუძლო – „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“.

საბჭოურ სისტემას, დღეს რომ დაუზოგავად ვლანძღავთ და ვაგინებთ, ბევრი კარგი თვისება ჰქონდა – მოქალაქეთა მიღება. სკკპ ცენტრალური კომიტეტიდან, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიდან, მინისტრთა საბჭოდან, სამინისტროებიდან დაწყებული და ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოებით დამთავრებული, ყოველ ორშაბათს კარს უღებდნენ რიგით მოქალაქეებს პირადი თუ საზოგადო საქმისთვის მისულს, უსმენდნენ და უჭრიდნენ პრობლემებს.

ეს „მავნე“ პრაქტიკაც ისტორიას ჩაბარდა. ხალხი ისე უდგება ხელისუფლებას, როგორც სავაჭრო ობიექტს. დაახლოებით ასე: თუ მომცემ ფულს, ან სურსათ-სანოვაგეს, მაშინ მოგცემ ხმას. ამომრჩეველმა იცის – თუ რამეს წაღლეტს ხელისუფლებას მხოლოდ არჩევნების წინ, შემდეგ ამომრჩეველი იქცევა პრობლემებით აღსავსე მასად, რომლისკენაც ხელისუფლებას გახედვაც კი არ სურს.

რომ გითხრათ ასეთივე ზერელე დამოკიდებულებაა დეპუტატსა და ამომრჩეველს ან მინისტრსა და ხალხს შორის ცივილიზებულ დასავლეთში – მოგატყუებთ. ამას წინათ წავიკითხე აშშ-ის სენატორის მუშაობის შესახებ სტატია, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი სენატორის ყოველდღიური მუშაობის განრიგი, რომელშიც ხალხის მიღებასა და მოქალაქეთა წერილების განხილვას დიდი დრო ხმარდება. ყოველთვიურად სენატორი საშუალოდ 10000 წერილს იღებს, თანაშემწეებთან ერთად იხილავს და პასუხებს სცემს.

არც სხვა ქვეყნებში რჩება მოქალაქე უყურადღებოდ, რასაც ვერ ვიტყვით „მოჭარბებულად დემოკრატიულ“ საქართველოზე.

ვატყობ, ხელი გამექცა, დიდი შესავალი გამომივიდა, მაგრამ რა გაეწყობა, რეალობა მაიძულებს ვთქვა ის, რაც წაკითხვის შემდეგ ხელისუფლებას არ მოეწონება, თუმცა არც იმის იმედი მაქვს, რომ წაიკითხავს.

თუ რამ კარგი აქვს თბილისს – შესანიშნავი ლანდშაფტი და ძველი უბანია, სადაც ისტორიული უძველესი ძეგლები თავს აწონებენ შინაურსაც და გარეშესაც – ნარიყალა, მეტეხი, სიონი, ქარვასლა, გოგირდის აბანოთუბანი, ეკლესია-მონასტრები, სინაგოგა, მეჩეთი, რესტორან-ტავერნეები, კაფეები, ...რომელი ერთი ჩამოვთვალო. ძველი ქალაქი მაგნიტივით იზიდავს ტურისტებს. არაერთხელ მინახავს ამ სილამაზით აღტაცებული, რომელიც გაფაციცებით აღბეჭდავს გაჯეტებსა თუ ვიდეოკამერებზე ნანახს. იმასაც შევსწრებივარ, რაოდენ გაოცებით შეჰყურებენ ძველ ქალაქში ისარივით შეჭრილ, გაუგებარი დანიშნულებისა და მდარე გემოვნების ორ დაუსრულებელ ნაგებობას – თუნუქით გადახურულ „ტრუბებს“და საჯარო რეესტრის გაუგებარ არქიტექტურას, რომლებსაც კომპაქტურ, ძველ ქალაქში აუტანელი დისონანსი შეაქვს.

ეს „შემოქმედება“ სააკაშვილის ნაღრძობი ტვინის პირმშოა. იცვლებიან თბილისის მერები, იცვლება ხელისუფლება, ეს საშინელება უცვლელი რჩება. როგორც ჩანს „საოცნებო“ ხელისუფლება დიდი რუდუნებით ცდილობს, შეუნახოს არქიტექტურული „შედევრები“ იდეის ავტორ სააკაშვილს.

ტუტუცი სააკაშვილის მეორედ მოსვლას ელოდება ველოსიპედის „მონუმენტი“, სხვა ღირსშესანიშნაობები, რომლებითაც ასე უხვად დაგვაჯილდოვა ყველაფრის მცოდნე (მათ შორის, ხუროთმოძღვრების) სააკაშვილმა.

დაჟანგული, შიფერმიკრული ბოძის სახეს ტოვებს გმირთა მოედნის შუაგულიდან ამოწვერილი „გაუგებრობა“, რომელსაც თბილისელებმა ხუმრობით ფალოსი შეარქვეს.

მემორიალი სიმშვიდეს, სიწყნარეს, სიწმინდეს,გახსენებას, პატივის მიგებას უკავშირდება, რაც უდავოდ შეუძლებელია ავტომანქანების მოჭარბებულ გუგუნში და ზომაზე მეტად დაბინძურებულ ატმოსფეროში.

ვაკის პარკში არსებული დიდ სამამულო ომში დაღუპულთა და უცნობი ჯარისკაცის სამარადისო სასუფველი ფართოდ გაუღებდა კარს გმირთა მოედანზე არსებულ მემორიალს, რომელიც თავისი შინაარსითა და დანიშნულებით, შესანიშნავად შერჩეული ადგილით, სწორედ ისაა, აფხაზეთის ომში დაღუპულებს რომ შეეფერება.

7 წელიწადია, „ოცნება“ მართავს ქვეყანას, რაც საკმაოდ დიდი დროა იმისთვის, რომ ძველ ქალაქში გადებული „ორი ტრუბა“ დაესრულებინათ, ველოსიპედი, გმირთა მოედნის სვეტი-ფალოსი დაშლილიყო და ძველ ადგილს დაბრუნებოდა დავით აღმაშენებლის ძეგლი.

მერია აცხადებს, რომ ფინანსები არ გააჩნია. იქნებ ის, რასაც მერია აკეთებს და მასში ფულს ხარჯავს, შეწყდეს და გაკეთდეს ის, რაც აუცილებელია. მაგალითად, მერიამ გვამცნო, რომ „დედა ენის“ ბაღი და მეორე ბაღი, სადაც მხატვრებმა დაიდეს ბინა, მიწისქვეშა გვირაბით დაუკავშირდება ერთმანეთს.

არ მგონია, რომ ამ ბაღების ერთმანეთთან დაკავშირება აუცილებლობით იყოს გამოწვეული. ფული, რომელიც ამ გვირაბის მშენებლობაში იხარჯება, ეყოფოდა თუნდაც ველოსიპედის გადატანას, დავით აღმაშენებლის დაბრუნებას, გმირთა მემორიალის ვაკის პარკში გახსნას და მერიის წინ დაუმთავრებელი შენობის ჩონჩხის დემონტაჟს.

დღეს ეს ჩონჩხი რეკლამით არის დაფარული. როგორც ჩანს, ყველა მერს მოსწონს ცხვირწინ აფარებული დაუმთავრებელი კარკასი, თორემ შესაბამის თანხებსაც გამოძებნიდა მის დასანგრევად. მარტო კოსტავას ქუჩის და სააკაძის მოედნის რემონტისთვის ფუჭად დახარჯული თანხა ეყოფოდა ამ საქმეს.

ცალკე თემაა ქუჩების დავიწროება, ცალმხრივი მოძრაობის გაკეთება, ველობილიკების მოწყობა. თბილისისთვის მსგავსი მშენებლობის წარმოება გრანდიოზულის კატეგორიაში გადის – ცვლის ქალაქის ცხოვრებას, ქალაქელთა ყოფას და ა.შ.

პროექტის განხორციელება მოსახლეობასთან, სპეციალისტებთან და არქიტექტორებთან შეთანხმებით უნდა ხდებოდეს. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ უცხოელი არქიტექტორების მოწვევა და მათთვის დიდი ანაზღაურების გადახდა გაუმართლებელია.

ზემოთ მოყვანილი „ძეგლების“ ავტორები, ხშირ შემთხვევაში უცხოელები არიან, დიდ ანაზღაურებას იღებენ და მიდიან, გვიტოვებენ საძაგლობებს, რომელთა ატანა შეუძლებელია.

უარესდება ტრანსპორტის მოძრაობა, ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები – რთულდება გადაადგილება, მატულობს ავტომანქანების მომწამვლელი გამონაბოლქვი, გაძვირებული საწვავის პირობებში, დანიშნულებამდე მისვლაში იხარჯება ზედმეტი საწვავი.

კოსტავასა და პეკინის ქუჩების ცალმხრივად გადაკეთებამ და ამ ქუჩებზე ველობილიკების მოწყობამ ბუდაპეშტის, ვაჟა-ფშაველას და სხვა პატარა ქუჩებზე მუდმივი საცობები გააჩინა, რაც ჰაერის დაბინძურებას იწვევს და ტრანსპორტით მოსარგებლე ადამიანთა დროის ხარჯვას, ნერვიულობას.

უნებლიეთ იბადება კითხვა – დღეში რამდენი ადამიანი სარგებლობს ველობილიკით?

დღიდან გაკეთებისა თითო-ოროლა – და რატომ?

თბილისი მთაგორიანი ქალაქია და ველოსიპედის ტრანსპორტად გამოყენება შეუძლებელია. გარდა ამისა, ახალგაზრდებმა, რომლებმაც ველოსიპედით უნდა იარონ, შავი „ჯიპებით“ დადიან. მათ ვერავინ აიძულებს ველოსიპედზე გადაჯდომას.

ძველი მოძრაობის ახლით შეცვლა მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი, თუ მოქალაქეთა გადაადგილებას პრობლემები არ შეექმნება. პეკინისა და კოსტავას ქუჩების ცალმხრივად გადაკეთებამ, ნაცვლად გაიოლებისა, გააუარესა მდგომარეობა, დამატებითი პრობლემები გააჩინა.ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, მერიის მუშაკები ძალით უმწარებენ ცხოვრებას ავტოტრანსპორტით მოსარგებლეებს.

რემონტი და მშენებლობა რომ ერთჯერადი იყოს, მოსახლეობა აიტანდა, მაგრამ ეს მუდმივი, უწყვეტი პროცესია, ამდენად საჭიროებს სერიოზულ მომზადებას, 24-საათიან მუშაობას, საქმისადმი პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას, ეკოლოგიის მოთხოვნების უყოყმანო შესრულებას, დისციპლინას და, რაც მთავარია, მოსახლეობის პატივისცემას.

ყველა ზემოთ თქმული უგულებელყოფილია.

„ავადსახსენებელ“ საბჭოეთის დროს ვახერხებდით 24-საათიან მუშაობას, გარე კომუნიკაციების ან მიწისქვეშა გადასასვლელების მოწყობის დროს, მაშინ როცა მუშახელი ძალიან ჭირდა და რა სირთულეს წარმოადგენს ახლა სადღეღამისო მუშაობის ორგანიზება, როცა ჩვენთან უმუშევართა მრავალრიცხოვანი არმიაა.

ასევე დისტრიბუცია და ნაგვის გატანა შეიძლება რვა საათის შემდეგ ხორციელდებოდეს, როდესაც პიკის საათი დასრულდება.

მერიამ გვაუწყა, რომ ჭავჭავაძის პროსპექტზე ნაგვის ყუთები ავტომატურად მიწაში დაიმალება – ნაგვის ყუთები არასახარბიელო შესახედიაო. კეთილი, მაგრამ გაცილებით ცუდი შესახედია ამ პროსპექტზე არსებული სახლების ფასადები, დაზიანებული საწვიმარი მილებით და ჩამოცვენილი ბათქაშით,უამრავი ელექტრომავთულხლართებით. რახანია, თბილისის ცენტრალური ქუჩების შენობებს რემონტი არ ღირსებია. დარწმუნებული ვარ, ნაგვის ყუთების ავტომატური ჩასვლა-ამოსვლა უმალ გამოვა მწყობრიდან და ახალი პრობლემა გაჩნდება.

მეგობრებო, მოდით, შევეშვათ „ნოვაციას“, ვაკეთოთ ის, რისი გაკეთებაც შეგვიძლია. ასეთი ექსპერიმენტებისთვის მზად არ ვართ, ისე, როგორც ჭავჭავაძის პროსპექტის შუა ნაწილში ავტობუსებისთვის სავალი გზის მოსაწყობად. მერიას გადაწყვეტილი აქვს, როგორც ჭავჭავაძის, ისე რუსთაველის პროსპექტებზე მსგავსი ნოვაციის განხორციელება. გარდა იმისა, რომ ეს პროექტები დიდი ფულის ხარჯვასთან არის დაკავშირებული, უდიდეს დამატებით პრობლემებს შეუქმნის მოსახლეობას, ტრანსპორტის მოძრაობას, დაანგრევს ისტორიულს, ტრადიციულს – ვოლუნტარისტულად და დაუფიქრებლად.

ქალაქის წინაშე გადაუდებელი ურიცხვი პრობლემებია. მაგალითად, წლობით დაუმთავრებელი მშენებლობები, მიტოვებული შენობა-ნაგებობები. სადამდე უნდა უყურონ თბილისელებმა და ქალაქის სტუმრებმა ყოფილი „ზაკვოს“ მიტოვებულ შენობას ან რესპუბლიკურ საავადმყოფოს, ან ჭავჭავაძის პროსპექტზე ბინძურ დოლბანდჩამოფარებულ გადაფერდებულ, დაუმთავრებელ შენობას („ლიბერთი ბანკის“ გვერდით), დავით აღმაშენებლის გამზირზე ყოფილი სასტუმრო „რუსთავის“ და კინოთეატრ „ოქტომბრის“ გამოკეტილ უნიკალურ შენობებს?

დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობებს და მიტოვებულ შენობებს რა ჩამოთვლის. სწორედ აქ უნდა იგრძნობოდეს ქალაქის მერიის ხელი და არა ჭავჭავაძისა და რუსთაველის პროსპექტების დამახინჯებაში.

მერიამ, მიუხედავად მრავალი დაპირებისა, თბილისში და დედაქალაქის შემოგარენში წლების მანძილზე ვერც უმკურნალა და არც მოჭრა დაავადებული და გამხმარი ფოთლოვანი და განსაკუთრებით მარადმწვანე წიწოვანი ხეები, რომლებიც ამახინჯებენ თბილისს და აღონებენ თბილისელებს, მხოლოდ ახლა დაიწყეს საცოდავადჩამომხმარი წიწოვნების მოჭრა...

მერიამ ვერც ჭავჭავაძის პროსპექტზე არსებული ყოფილი სტუდაქალაქის ამორტიზებული შენობების ასაღებად მოიცალა. ვეჭვობ, რომ ისინი ქალაქელთა გულს ან უცხოელთა თვალს ახარებდეს. ქალაქს ბევრი პრობლემა აქვს, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მათი გადაჭრა მხოლოდ პროფესიონალებს და ქალაქის რთული მეურნეობის მცოდნე სპეციალისტებს ხელეწიფებათ. ნაცვლად იმისა, რომ ქალაქის მესვეურები საქმის ცოდნით, მოქალაქეთა პატივისცემით ეკიდებოდნენ მათ წინაშე არსებულ ურთულეს საკითხებს, ზედაპირულობა აშკარაა, რაც უდავოდ არ წაადგება დედაქალაქს.

სასურველია, მერიის თანამშრომლები შეირჩეს პროფესიონალი, გამოცდილი კადრებით, რომლებსაც უყვართ დედაქალაქი და პატივს სცემენ თბილისის მოქალაქეებს.

ომარ მარგველაშვილი



„მე ვარ პოეტი და ამით ვარ საგულისყურო“

ასე ამბობდა ვლადიმერ მაიაკოვსკი

ქართულად გადმოაენა ვყრამ ვოვიაშვილმა

3. ძველი დროებანი, რთული გრძნობები, მაიაკოვსკი ქალებსა და სიყვარულზე

იდეალური ოჯახები არ არსებობენ, ყველა ოჯახი ტყვრება, მხოლოდ იდეალური სიყვარულია შესაძლებელი.

* * *

თუკი გიყვარვარ, მაშასადამე, ჩემთან ხარ, ჩემი მომხრე ხარ, სამუდამოდ, ყველგან და ყოველგვარ ვითარებაში.

* * *

ავად არ გამიხდე, თუ ქრისტე გწამს! უკეთუ ოსკა მოგხედავს და არ წაიღ-წამოიღებს შენს **ფილტვებს** (ამ ადგილას შეჩერება და შენს წერილში შეძრომა მომიხდა, რათა გამეგო, როგორ იწერება – ვისურვებდი **„ფილთებს“**), სადაც ჯერარს, ავდგები და თქვენს ბინაში მივზიდავ წიწვოვან ტყეს და ოსკას კაბინეტში ჩემი შეხედულებისამებრ მოვაწყობ ზღვას. უკეთუ შენი სიცხის საზომი უფრო მაღლა აცოცდება, ვიდრე ოცდათექვსმეტი გრადუსია, სუყველა თათს მოვამტვრევ.

* * *

უკეთუ შენს გოშიად განმიხილავ, პირდაპირ გეტყვი – სულაც არ შეგნატრი, ეგ შენი გოშია ვერაფერი შვილია: ჯერ ერთი, ნეკნები უჩანს, ბალანი, თავისთავად ცხადია, ბღუჯა-ბღუჯა ჰკიდია, წითელ თვალთან კი, საგანგებოდ, რათა ცრემლი ჩამოიბერტყოს, გრძელი გაქუცული ყური აქვს. ბუნებისმეტყველნი ამტკიცებენ, რომ გოშიები ყოველთვის ასეთები ხდებიან, თუ უსიყვარულო ადამიანთა ხელში ხვდებიან.

* * *

შენი წერილი სანატრელი გამიხდა, ციცა კი არა, უკვე ეშმაკი გამხდარხარ, რამ გადაგაგვარა ნეტავი?

* * *

ის ამბავი, რომ თუნდაც ერთი თვე, თუნდაც ერთი დღე უჩემოდ თავს უკეთესად გრძნობ, ვიდრე ჩემთან ყოფნისას, ეს კაი გვარიანი დარტყმაა.

* * *

მიყვარხარ განა?

მიყვარხარ, მიყვარხარ, ყველაფრისდა მიუხედავად და ყოველივეს წყალობით, მიყვარდი, მიყვარხარ და მეყვარები, უხეშად მომექცევი თუ ალერსიანად, ჩემი იქნები თუ სხვისი, სულერთია, მიყვარხარ.

* * *

აუცილებლად წაიკითხავ ამ ჩემს წერილს და წამიერად გაიფიქრებ ჩემზე. მე ისე უსასრულოდ ვხარობ შენი არსებობით, ყოველივე შენით, ის კი არა, ჩემგან დამოუკიდებლად იმის დაჯერებაც არ მინდა, რომ მე თვითონ სრულიად უმნიშვნელო ვარ შენთვის.

* * *

თქვენ ფიქრობთ, რომ ბოდავს მალარია?
კი იყო,
ოდესაში იყო.
„ოთხზე მოვალო“, – დაიბარა მარიამ.
რვაც გახდა,
ცხრაც გახდა,
ათიც.

* * *

არ დაინანე ტუჩები,
უკმეხები და **ურჩები,**
და ჩაქრი როგორც ხანძარი,
ცივ კლდეში დასაყუჩებლად
კვეთე დევნილთა ტაძარი.

- - - - - - - - - - - - - - - - -

– **ნუ** ედავები ლილიას, ლილია მუდამ მართალია.
– მაშინაც კი, თუ თქვა, კარადა ჭერში დგასო?
– რასაკვირველია,
– მაგრამ კარადა ხომ იატაკზე დგას!
– ეგ შენი თვალსაზრისით, აბა, თქვენს ქვედა მეზობელს ჰკითხე, რას იტყვის?

* * *

მარტოსული ვარ,
ვით ბრმებისკენ მიმავალი კაცის კენტად შერჩენილი თვალი.

* * *

დაიღუპება ყოველივე,
ჩაივლის უქმად,
და ვინც ცხოვრებას ამოძრავებს,
გამოლევს ლუკმას
და აშრეტს მარცვალს
დაბუგავს,
დაწვავს
მხოლოდ ტკივილი,
ჩემი ყივილი გულის ველს
მოძოვს,
მწვანედ მიღვარულს,
და ჩაუწვავს დაანთებს
კოცონს,
წარმოუდგენელს გააჩაღებს
მწიფე სიყვარულს.

* * *

ხომალდიონი მიაშურებს
თავის საყუდელს,
მატარებელი სადგურისკენ მიექანება,
მე კი მიყვარხარ!
შენს გზას გავყურებ,
და ყანის შრიალს
სიყვარულიც მიეყანება.

* * *

დიდ ხალხს საქმე აქვს,
ცხოვრება რთული,
ტრფობა მოიცდის,
არ იცდის ფული.

* * *

სიყვარული ტვირთად გკიდია
სულაც არ მინდა, რომ გეალმასო
და გული ჩემი ამოგივარდო,
ეს ჩემი დარდი ისე დიდია,
იქნებ როგორმე ამოვიდარდო.

* * *

გევრ ჭერქვეშ, ვიცი, ცხარე ომია,
ეს უჩემოდაც ყველგან იციან,
სად გატეხილი ძველი ფიცია,
მეც მიღალატა ანატომიამ,
გულის გუგუნის ავად მნდომია.

* * *

იქ ბევრი მოვიდა არანავალი,
შენს დაგვირგვინებას დაესწრო მრავალი,
ეს იყო მართლა კარნავალი,
ალბათ, არცროდის წარმავალი.

* * *

თითქოს გულის სწორს
ველოდო სადმე,
გული გუგუნებს
მკერდში,
ამაზე მეტი არა მაქვს საქმე,
ეს სიყვარული მერჩის.
ცეცხლს წყალი მისდევს,
წყალს ქარიშხალი,
ნუ დაიბნევი ბრინჯივით,
თავის მორევას ვინ შეძლებთ?
აბა, ჰე, მიდით, სინჯეთ...

* * *

რა საშინელებაა განშორება, თუ იცი, რომ გიყვარს და განშორებაში შენ ხარ დამნაშავე.

* * *

მარია!
შენი სახელის დავიწყება ისე მაშინებს,
ვით პოეტს
ღამის წვა-დაგვაში შობილი სიტყვა,
სიდიადით გამჩენის ტოლი,
მერე რა, თუ არა ხარ ცოლი.
შენს სხეულს ისე მოვუვლი
და მეყვარება
როგორც ჯარისკაცს ცალფეხმოკვეთილს,
მეორე ფეხი,
რასაც ერთხელაც არ შეიმჩნევს
ის გულის სწორი.

* * *

ყოვლადძლიერო,
ვერ გვარგუნე კარგი იგავი,
თავიც მოგვეცი, ორი ხელიც,
გვახილვებინე ქვეყნიერება,
სიკვდილთან ერთად გვაზიარე
ბედნიერებას.
მაგრამ არ სჯობდა
ამ ხანმოკლე წუთისოფელში
სულ კოცნაში ვყოფილიყავით?!

* * *

ასეა, რა ვქნათ?!
სიყვარული შეცვალეთ ჩაით?
წინდის კემსვაც სიყვარულის
სანაცვლო იყოს?

* * *

ვიცავდი შენს ძვირფას სახელს, ჩემს წყევლა-კრულვაში გვერდი ავუარე.

* * *

თუ რამ დავწერე,
თუ რამ ვთქვი,
თუ რამ გავწელე,
შენი თვალების
ფერებია.
ჩემო ძვირფასო,
დანარჩენი
მაგ თაფლისფერ შუქურათა
გერებია.
სხვა არცროდის არა მწამდა
და არც ოდესმე
მჯერებია.

* * *

მიყვარს, როდესაც დამფრთხალნი ჩიტნი
სადაფის ზეცას მიაწყდებიან!
რა სიბრიყვეა ამ დროს დუმილი,
როს ერთ ნაწილად შენს თავს
იქა გრძნობ!
მიყვარს ქუჩების აბობოქრება,
გადაძახილ-გადმოძახილი!
ზეკაცთა გულში ზეგრძნობის ბრჭყალი,
უხმეთ სასწრაფოს, სახანძროსაც,
მილიციასაც!
ნახეთ მკურნალი, ჩააქრეთ ცეცხლი,
გესმით თუ არა?
მიყვარს, თუ ქალაქს
ერთად უვლიან!

* * *

თუ გსურთ –
მომივლის ბრაზი –
უცებ გავხდები შარიანი –
თანაც უმწიკვლო, ნაზი,
კაცი კი არა, ღრუბელი შარვლიანი.

* * *

პატარა რომ ვყოფილიყავი –
ვით ოკეანე,
ტალღის წვერებზე
შევდგებოდი
მოვიქცეოდი მთვარისაკენ
ჩემი ლაქუცით,
და დავუწყებდი
ძებნას სატრფოს
დღესაც რომ მათბობს,
გზას მასწავლიდა
ფირუზი ცის ღრუბლის ნაკუწი.

* * *

თუ ვერ გაუძლებს
პოეტი ვაგლახს,
ვეღარ გაუძლებს
ვერც სატრფოს ცქერას,
მე მხოლოდ ერთი
სურვილი მახლავს –
მესმოდეს მუდამ
იქაც და აქაც
შენი ძვირფასი
სახელის ჟღერა.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №170-172

ვაის გავეყარეთ, ვუის შევეყარეთ!..

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელი კრაზანის შემოსევას ებრძვის. რამდენიმე კვირის წინ დადასტურებულმა ფაქტმა – ორი მამაკაცის სიკვდილმა, რომელთა სავარაუდო მიზეზად კრაზანის ნაკბენი სახელდება, ვითარება კიდევ უფრო გაართულა.

საყურადღებოა, რამ გამოიწვია კრაზანის უთვალავი მომრავლება?

მაშინ, როდესაც ხელისუფლება ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლას სხვადასხვა გზით ცდილობდა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოში შემოეყვანათ იაპონური ჯიშის კრაზანა – „სამურაი“, რომელიც მავნებლის რაოდენობას საგრძნობლად შეამცირებდა. 2018 წლის მარტში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა **ლევან უჯმაჯურიძემ** აღნიშნული ინფორმაცია უარყო. თუმცა, ძალიან მალე, საქართველოში კრაზანები საგრძნობლად მომრავლდა და, როგორც ვნახეთ, სასიკვდილო შედეგიც დადგა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს რამდენჯერმე დავუკავშირდით იმის გასარკვევად, რამდენად ეხებოდა ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლა კრაზანის მომრავლებას, თუმცა როგორც ოფიციალურ უწყებებს სჩვევიათ, კითხვაზე პასუხი არავინ გაგვცა.

კრაზანის მასობრივი მომრავლება განსაკუთებულ ზიანს მეფუტკრეებს აყენებს, რადგან ის ძირითადად ფუტკრით იკვებება. ზესტაფონის სოფელ ქვედა საზანოში მცხოვრები ფერმერები ფაროსანას შეწამვლის დროს გადარჩენილ ფუტკარს ახლა კრაზანისგან იცავენ. ამ საკითხთან დაკავშირებით ფერმერი ზაზა დავლაძე საკუთარ შეხედულებას გვიზიარებს: „ფუტკარს კრაზანის სახით ახალი მტერი გამოუჩნდა. ის რამდენიმე მსხვილ ფუტკარს იტაცებს და ამით დიდ საფრთხეს უქმნის მეფუტკრეობას, რომელიც უდიდეს სიმდიდრეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვის. აქამდე ფუტკარს ფაროსანას წინააღმდეგ შეწამვლამ მიაყენა დიდი ზიანი, ახლა კი კრაზანისგან გვიწევს მათი დაცვა და ჩვენი ერთადერთი შემოსავლის წყაროს გადარჩენა. ფაროსანას შეწამვლის დროს დაზიანდა დიდი ოდენობის ფუტკარი, ხოლო ფუტკრის ჯიშის გადაშენებამ, დამეთანხმებით, რომ კატასტროფული შედეგი შეიძლება მოუტანოს ჩვენს დედა-ბუნებას. ფუტკრის გარეშე დამტვერვა არ ხდება, დამტვერვის გარეშე კი მოსავალი წარმოუდგენელია“, – ამბობს დავლაძე.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა დავუსვით ფუტკრის მოშენების, შენახვისა და მეფუტკრეობის პროდუქტების მიღების სპეციალისტ ლაშა გურგენიძეს.

– რას შეიძლება დავუკავშიროთ კრაზანის ასეთი მომრავლება?

ლაშა გურგენიძე: კრაზანა სულ იყო, თუმცა ასეთი რაოდენობა ნამდვილად იშვიათია. პირველ რიგში, გამომწვევ მიზეზად აუცილებლად უნდა დავასახელო კლიმატური ცვლილებები, დღესდღეობით ჩემი დაკვირვებით რამდენიმე სასარგებლო მწერი არის გადაშენებული, რომელიც ნიადაგის განაყიერებას უწყობდა ხელს. რა თქმა უნდა, თავისი გავლენა აქვს მაღალ ტემპერატურასაც, წვიმის და სიგრილის პერიოდში კრაზანა ვერ და არ გამრავლდება. კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მეფუტკრეობის განვითარება. კრაზანა არ გამრავლდება იმ ადგილას, სადაც არ არის ფუტკარი. შესაბამისად მეფუტკრეობის განვითარება, კლიმატური და ტემპერატურის ცვლილებები შეიძლება კრაზანის მომრავლების გამომწვევ მიზეზებად ჩაითვალოს.

– არსებობს თუ არა კავშირი ფაროსანასთან ბრძოლასა და იმ კრაზანის მომრავლებას შორის, რომელიც ასე აწუხებს დღეს მეფუტკრეებს?

– კრაზანა 90-იანი წლებიდან მოყოლებული იყო საქართველოში. მას ფუტკრის მგელს ეძახიან. კრაზანას ბარტყს შვიდი ცალი ფუტკარი სჭირდება, რომ გამოიკვებოს. აქედან გამომდინარე, ჩვენც მარტივად დავასკვნით, თუ რა დონის ზიანი შეიძლება მიაყენოს მან ფუტკარს. რაც შეეხება კრაზანასა და ფაროსანას შორის კავშირს, იაპონური კრაზანა, კერძოდ „სამურაი“ ფაროსანას კვერცხებზე დებს თავის გამოჩეკილ კვერცხს. ის ფრთიან ჭიანჭველას წააგავს. მარტივად რომ მიგახვედროთ, ფაროსანას ათი კვერცხიდან„ სამურაი“ შვიდზე თავის კვერცხს დებს და სამს ტოვებს, რადგან შთამომავლობა არ გადაშენდეს და საკვები ჰქონდეს ფაროსანას სახით. ის მხოლოდ არეგულირებს ფაროსანის რაოდენობას, ბოლომდე მოსპობა არ შეუძლია.

ფაროსანას ვებრძვით, თუმცა ისეთ სიმდიდრეს ვაყენებთ საფრთხის ქვეშ, როგორიც ფუტკარია.

– რამდენიმე ფერმერი ფაროსანას წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებს მიუღებლად მიიჩნევს, თქვენ რამდენად მისაღებად მიგაჩნიათ ის გზები, რითაც მთავრობა ფაროსანას ებრძოდა კრიტიკული პერიოდის დროს?

– პირველ რიგში, დავიწყებ იმით, რომ ფაროსანა ჭირია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ყველას კარგად მოეხსენება ამერიკაში დღემდე ებრძვიან ფაროსანას. მაგრამ, აქ მთავარია, თუ რამდენად ეფექტური გზებით ებრძვი მას. საქართველოში შემოიტანეს ისეთი პრეპარატები, რომლებიც ზესტაფონის ან ხარაგაულის მსგავს ადგილებში არ ჭრის, რადგან ამ ტერიტორიაზე ათი სახლიდან რვა მაინც დაკეტილია. შესაბამისად, შეწამვლამ ქაოტური ხასიათი მიიღო, იწამლებოდა მხოლოდ ის ადგილები, სადაც ფაროსანას ხედავდნენ და მასშტაბურად მის წინააღმდეგ ბრძოლა არ გაჩაღებულა. ამასთან, არ გაითვალისწინეს ქართველი მეცნიერების არც ერთი მოსაზრება, აღნიშნულ პრეპარატებთან დაკავშირებით. კიდევ ერთი შეცდომა იყო ის, რომ შეწამვლა მოხდა ფუტკრის ღალიანობის პერიოდში. ამ დროს სკიდან გაფრენილი ფუტკარი, რომელსაც ამავდროულად ევალება სკის გასუფთავება და ტკიპებისგან თავის დაცვა, უკან ვეღარ ბრუნდებოდა, რის შედეგადაც ტკიპების რაოდენობა 100 პროცენტით გაიზარდა. ბევრმა მეფუტკრემ ეს ვერ შენიშნა და უამრავი ფუტკარი დაეღუპა.

ეკოსისტემა საკმაოდ რთული საკითხია, რომელიც კაბინეტებიდან ვერაფრით გადაწყდება. სწორედ ამგვარმა გადაწყვეტილებებმა მოგვიტანა ასეთი უარყოფითი შედეგი, ფაროსანა ბოლომდე ვერ გადავაშენეთ და თანაც, უდიდესი ზიანი მივაყენეთ ფუტკარს.

აქამდე ფუტკარს ფაროსანას წინააღმდეგ შეწამვლამ მიაყენა დიდი ზიანი, ახლა კი კრაზანისგან გვიწევს მათი დაცვა



– როგორ შეიძლება საზოგადოება ებრძოლოს კრაზანის შემოსევას?

– მთავრობისგან განსაკუთრებულ დახმარებას არ მოველი. ხარაგაულში უსასყიდლოდ დავდიოდი სახლებში და ჩემი თაოსნობით ვეხმარებოდი მოსახლეობას, ვისაც განსაკუთრებით აწუხებდა კრაზანის პრობლემა. ძირითადად ვიყენებ ნავთობპროდუქტს, იქნება ეს ბენზინი თუ დიზელი. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ცეცხლი არ უნდა წავუკიდოთ, რადგან მისი ბუდე ხის მერქნისგან არის დამზადებული და როგორც კი ნავთობპროდუქტი მიესხმება, მის შიგნით არსებული კრაზანა მთლიანად იღუპება. დიზელი ყველაზე ეფექტური საშუალებაა, გამომდინარე იქიდან, რომ ზეთოვანია, დიდხანს რჩება ერთ ადგილას. კრზანები განსაკუთრებით არაეფექტურები ღამის პერიოდში ხდებიან, კბენის ინსტინქტი ნაკლებად განვითარებული აქვთ მაგ დროს. შეიძლება დაიბუდოს ფუღუროში, სახლის კედლებზე, სხვენებში.

მეორე ხერხიც არსებობს მის წინააღმდეგ საბრძოლველად – ორლიტრიანებში, ან ერთლიტრიანებში უნდა ჩაასხან შაქრის სიროფი და ჩაყარონ რამდენიმე სახეობის ხილი, ვაშლი, მსხალი ან ქლიავი და ჩამოკიდონ ხეზე. მასში ჩასული კრაზანა უკან ვეღარ ამოდის. რაც მთავარია, თაფლი არ უნდა გამოიყენონ, რადგან ამ შემთხვევაში ფუტკრებს მიიზიდავენ და ისინი დაზიანდებიან, შემდეგ უკვე 3-4 დღეში უნდა ცვალონ ეს სიროფი. სწორედ ეს ორი ხერხი შეიძლება გამოიყენოს საზოგადოებამ და ებრძოლოს კრაზანას.

– რამდენად ცუდი შედეგი შეიძლება გამოიწვიოს კრაზანის ნაკბენმა?

– ამ საკითხთან დაკავშირებით, ალბათ, უმჯობესია, ალერგოლოგისგან მივიღოთ რეკომენდაციები, თუმცა ჩემი რჩევებიც შეიძლება გამოგადგეთ. თავდაპირველად, უნდა ზესტაფონში მომხდარ ამბავს გამოვეხმაურო. თუ ადამიანი ალერგიულია და დროულად არ მოხდა შესაბამისი რეაგირება, მაშინ ორმა ან სამმა ნაკბენმა შეიძლება ფატალური შედეგი მოგვცეს. ხარაგაულშიც დაკბინა რამდენიმე ადამიანი, ოღონდ მედიამ ეს ფაქტი საერთოდ არ გააშუქა, მხოლოდ ადგილობრივ დონეზე გავრცელდა. კბენის დროს თუ ადამიანი ტყეში იმყოფებოდა, მეორე ადამიანმა ის ზურგზე უნდა მოიკიდოს და თავდაყირა მიიყვანოს გზამდე, თორემ ნაკბენი სისხლის მიმოქცევას აფერხებს. განსაკუთრებით მძიმე შედეგი მაინც ალერგიულობის ფონზე ხდება.

– ყველაფერი ფაროსანას შემოსევის პრობლემით დაიწყო. თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს და რამდენად ემხრობით მასობრივ შეწამვლას?

– ის პრეპარატები, რომლებიც მათ გამოიყენეს, არ იყო მიზანშეწონილი. ამაზე რამდენიმე მეცნიერთანაც მქონდა საუბარი. მასშტაბურ შეწამვლაზე უარს ვამბობ, რადგან ის ფაროსანის გარდა სხვა სახეობებსაც აზიანებს, რომლებიც საჭიროა ნიადაგისთვის. თქვენც ხედავთ, რა შედეგი მოიტანა ამ შეწამვლამ, მეფუტკრეები ფუტკრის გარეშე დარჩნენ და შემოსავლის მთავარი წყარო გაუნადგურდათ. ეკოსისტემა მომწესრიგებელი მექანიზმია, ეს ფაროსანაც რამდენიმე წელში, 3-4 წელში განადგურდებოდა არა ხელოვნური გზით, არამედ ბუნებრივი გზით. მას თავისივე პარაზიტი გაუჩნდებოდა. ბუნება თავად მოაგვარებდა ამ პრობლემას, ჩვენ კიდევ ერთ პრობლემას მეორე და მესამე დავამატეთ და უარეს დღეში ჩავიგდეთ თავი. მე უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია ის, რომ ყველამ ცალ-ცალკე შეწამლოს კონკრეტული ადგილები და არა მასშტაბურად. შეიძლება ისეთი რაღაც გავაფუჭოთ, რის აღდგენასაც წლები დასჭირდეს და ბუნება ამ ხელოვნურ ჩარევას არ გვაპატიებს. ფაროსანა მაინც არის, ბოლომდე არ განადგურებულა, იმ შხამქიმიკატებით კი სანაცვლოდ ფუტკარი გვინადგურდება.

მიუხედავად აღნიშნული ფაქტით გამოწვეული მძიმე მდგომარეობისა, როგორც მეფუტკრეებისთვის, ისე დანარჩენი მოსახლეობისთვის, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჯერჯერობით ოფიციალურ განცხადებას არ ავრცელებს.

For.ge სურსათის ეროვნულ სააგენტოსაც რამდენჯერმე დაუკავშირდა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. გვინდოდა, გაგვეგო რამდენად სწორად იყო შეფასებული ის რისკები, რაც თან ახლდა ფაროსანის წინააღმდეგ ერთობლივ შეწამვლას და რამდენად გაითვალისწინეს ქართველი სპეციალისტების აზრი პრეპარატების გამოყენების პროცესში, თუმცა, ამჯერდაც, ყოველი მცდელობა უშედეგო გამოდგა. მოსახლეობას კვლავ თავისი სახსრებით უწევს რამდენიმე პრობლემასთან გამკლავება, რაც ხელისუფლებისადმი ნდობას კიდევ უფრო ასუსტებს.

ანანო შალამბერიძე

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნაზიკო ილჩიევას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნაზიკო ილჩიევა (პ/ნ 12001076575), გარდაბანი, ს. მუღანლო, მე-10 ქ. №11.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
გარდაბანი, სართიჭალა, ს. მუღანლო (საკადასტრო კოდი: 81.12.05.333).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 10044.52 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 3 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 20 სექტემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP62229519;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 622295
6. **მოვალე:** ელჩინ კურბანოვი (პ/ნ 12001086092), გარდაბანი, ს. მუღანლო, 23-ე ქ. №13.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP62229519; ლოტის ნომერი: 622295).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 20 სექტემბერის 10:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მერი ქობალიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მერი ქობალია (პ/ნ 62001024262), თბილისი, ნუცუბიძის 5 მ/რ, კორპ. 1, ბინა №26.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ. №76, სადარბაზო 1, სართული 2, ბინა №15 (საკადასტრო კოდი: 01.19.21.002.19 4.01.015https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 13103.12 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 3 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 20 სექტემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP62226619;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 622266
6. **მოვალე:** ლევან ფიფია (პ/ნ 62007015241), თბილისი, ნუცუბიძის 5 მ/რ, კორპ. 1, ბინა №26.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP62226619; ლოტის ნომერი: 622266).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 20 სექტემბრის 10:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ირაკლი კალანდაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ირაკლი კალანდაძე (პ/ნ 61002016041), ჩოხატაური, ს. ხიდისთავი.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა/გ. ბრწყინვალეს №88/44, ბინა 10, სართული 2-3 (საკადასტრო კოდი: 05.28.15.021.01.010).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 56766.75 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 3 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 20 სექტემბერი, 14:30 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP62229619;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 622296
6. **მოვალე:** ირაკლი კალანდაძე (პ/ნ 61002016041), ჩოხატაური, ს. ხიდისთავი;
ჯანიკო ნაკაშიძე (პ/ნ 61002015682), ბათუმი, ჯავახიშვილის 2, ბინა 63
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP62229619; ლოტის ნომერი: 622296).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 20 სექტემბრის 10:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ასიფ ქაზუმოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ასიფ ქაზუმოვი (პ/ნ 36001011330), საგარეჯოს რ-ნი, ს. ზემო ლამბალო, მე-2 ქ. №6.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
საგარეჯოს რ-ნი, ს. ზემო ლამბალო, მე-2 ქ. №6 (საკადასტრო კოდი: 55.21.53.311).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 32698.03 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 3 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 20 სექტემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP62226919;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 622269
6. **მოვალე:** ასიფ ქაზუმოვი (პ/ნ 36001011330), საგარეჯოს რ-ნი, ს. ზემო ლამბალო, მე-2 ქ. №6;
ჯახან ქაზუმოვი (პ/ნ 36001019657), საგარეჯოს რ-ნი, ს.ზემო ლამბალო, მე-2 ქ. №6;
ელჩინ მასიმოვი (პ/ნ 36001040974), საგარეჯოს რ-ნი, ს. ზემო ლამბალო, მე-6 ქ. №4;
აზერ ქაზუმოვი (პ/ნ 36001011988), საგარეჯოს რ-ნი, ს. ლამბალო, პირველი ქ. №16.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP62226919; ლოტის ნომერი: 622269).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 20 სექტემბრის 10:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ელზა ხუროშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ელზა ხუროშვილი (პ/ნ 13001001226), თელავი, მეგობრობის ქ. №33ა.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
გურჯაანი, ფარნავაზის ქ. №39 (საკადასტრო კოდი: 51.01.61.070https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 11562.39 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 3 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 20 სექტემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP62226719;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 622267
6. **მოვალე:** ბექა გაგნიძე (პ/ნ 12001092237), გარდაბანი, ს. ზემო თელეთი, მე-12 ქ. №5, ბინა 10.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP62226719; ლოტის ნომერი: 622267).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 20 სექტემბრის 10:00 საათამდე.

◎ ჩოგბურთი

შაფათავა პირველია

ყაზახეთის უწინდელ დედაქალაქ ალმათიში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იანი საერთაშორისო ტურნირი, რომლის წყვილთა პაექრობაში ყირგიზ ქსენია პალკინასთან ერთად შესანიშნავად იასპარეზა თბილისელმა სოფიო შაფათავამ. მესამე ნომრად განთესილმა ქართულ-ყირგიზულმა დუეტმა ზედიზედ დაამარცხა სოფია ჩურსინა (ყაზახეთი) და დარია მიხაილოვა (რუსეთი) — 6:0, 6:1; რუსები — ქსენია კოლესნიკოვა და სოფია ვაინბერგი — 6:2, 6:1; პირველ ნომრად განთესილი უზბეკები — ნიგინა აბდურაიმოვა და აკგულ ამანმურადოვა — 7:6, 7:6. გადამწყვეტ პაექრობაში სოფიომ და ქსენიამ ასპარეზობის მეოთხე ნომრები — თამარა კუროვიჩი (სერბეთი) და ალინა სილიჩი (რუსეთი) საათსა და 33 წუთში დაჯაბნეს — 6:4, 7:6 და მთავარი პრიზი მოიპოვეს. ქართველმა ჩოგბურთელმა საასპარეზოდ ჩინური ჩანგშას 60.000-იან შეჯიბრებას მიაშურა, სადაც, სავარაუდოდ, პაექრობებს კვალიფიკაციიდან დაიწყებს.

ამერიკის ღია პირველობის წყვილთა ორთაბრძილებში თბილისელმა ოქსანა კალაშნიკოვამ და რუსმა ეკატერინა ალექსანდროვამ პირველ წრეში მედისონ ბრეგლესა (აშშ) და ენა შიბაჰარას (იაპონია) მოუგეს — 2:6, 6:0. 6:4, ხოლო მეორე წრეში ასპარეზობის რეიტინგ-ფავორიტებთან — ტიმეა ბაბოშსა (უნგრეთი) და კრისტინა მლადენოვიჩთან (საფრანგეთი)1:6, 4:6 დამარცხდნენ.

ლაშა დიდია

◎ ჭადრაკი

განახლებული რეიტინგით

ფიდემ სასექტემბროდ მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. გაუწყებთ საუკეთესო ათეულებისა და ქართველი დიდოსტატების მონაცემებს:

ქალები: ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2659), ცზიუი ვენძიუნი (ჩინეთი, 2567), ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი, 2564), ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2560), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2551), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2547), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2545), ვიქტორია ჩმილიტე (ლიეტუვა, 2438), თან ჩჟუნი (ჩინეთი, 2504), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2503)... 12. ნანა ძაგნიძე (2502), 26. ლელა ჯავახიშვილი (2452), 28. ბელა ხოტენაშვილი (2453), 48. ნინო ბაციაშვილი (2415), 67. მერი არაბიძე (2398), 83. სოფიკო გურამიშვილი (2381), 88. სალომე მელია (2376), 92. ქეთი წაწალაშვილი (2372)... საქართველოს ქალთა ათეულში, ასევე, არიან სოფიკო ხუხაშვილი (2341) და ნინო ხომერიკი (2315).

ვაჟები: მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2876), ფაბიანო კარუანა (აშშ, 2812), დინ ლიჟენი (ჩინეთი, 2811), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2780), იან ნეპომნიაშჩი (რუსეთი, 2776), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2774), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2767), ვესლი სო (აშშ, 2776), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2765), იუი იანი (ჩინეთი, 2763)... 71. ივან ჩეპარინოვი (საქართველო, 2670)... საქართველოს ათეულში ჩეპარინოვის შემდეგ მოდიან ბაადურ ჯობავა (2617), ლევან ფანცულაია (2603), გიორგი ყაჭეიშვილი (2582), ლუკა პაიჭაძე (2574), მიხეილ მჭედლიშვილი (2567), დავით ჯოჯუა (2563), დავით არუთინიანი (2551), ზურაბ სტურუა (2540) და თორნიკე სანიკიძე (2515).

გივი გაგუა

◎ მოულოდნელი რაკურსით

მწერლის მუზა

ალბათ დაგვეთანხმებით, რომ არასოდეს დაგვზარებია ლეო მესის ოჯახზე წერა და იმასაც სულ აღვნიშნავდით, რომ არგენტინელი ვარსკვლავი მთელი ცხოვრება თავისი ცოლის ანტონელა რეკუზოსადმი გასაოცარ ერთგულებას ამჟღავნებდა, რაც თანამედროვე მსოფლიოში ბევრი ადამიანისთვის წარმოუდგენელი და დაუჯერებელია.

ლიონელის ხასიათის ეს შტრიხები უყურადღებოდ არც სამწერლო საზოგადოებას დარჩენია და სწორედ ამის დასტურია ის ამბავი, რომ ესპანელმა ჟურნალისტმა და მწერალმა, ვინმე ხუან მენდესმა წიგნის წერას მიჰყო ხელი, რომელიც არა მესის კარიერას, არამედ მის ოჯახსა და ოჯახურ ცხოვრებას მიეძღვნება.

ლეო მესი და მისი მეუღლე ირწმუნებიან, რომ ხუან მენდესთან მათ კომუნიკაცია მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ და მწერლისთვის არც თანხა გადაუხდიათ. პრინციპში, ეს დასაჯერებელიცაა, რადგან მენდესმა მესის გარეშეც ძალიან კარგად იცის, რომ ლიონელის პირადი ცხოვრების შესახებ წიგნი წესით კარგად უნდა გაიყიდოს.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი

გამოცდა

გასულ უქმეებზე თბილისს შოტლანდიის მორაგბეთა ეროვნული გუნდი ეწვია. პირველად მოხდა, რომ საქართველოში ბრიტანელთა ძირითადმა ნაკრებმა ითამაშა. „ნარშავებთან“ ჩვენები 2011 წელს მსოფლიოს თასზე დამარცხდნენ — 6:15, მეორედ კი 2016 წლის ნოემბერში ტესტ-მატჩი წააგეს კილმარნოკში — 16:43. სწორედ მაშინ თქვეს შოტლანდიელებმა, რომ 2019 წლის მსოფლიოს თასამდე საქართველოს ეწვეოდნენ და აი, უძლიერესი შემადგენლობით ჩამოვიდნენ. სტუმრებთან შეხვედრა მასპინძელთა დიდი გამოცდა იყო როგორც მსოფლიოს თასის წინ ძალების შესამოწმებლად, ასევე, ექვს ერში დაშვების პერსპექტივის განსამტკიცებლად. მატჩს 40.000-მდე ქომაგი ადევნებდა თვალს, მაგრამ „ბორჯღალოსნებმა“ „ნარშავებს“ სათანადო მეტოქეობა ვერ გაუწიეს: ქართველებმა პირველი ჯარიმა 33-ე წუთზე გაიტანეს, როცა ანგარიში უკვე 20:0 იყო შოტლანდიელთა სასარგებლოდ. პირველი ტაიმი სტუმრებმა 32:3 მოიგეს.

შესვენების შემდეგ შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ სტუმრებს თავი დიდად აღარც შეუწუხებიათ. საბოლოოდ მათ 44:10 გაიმარჯვეს. „ბორჯღალოსნები“ მოახლოებულ მსოფლიოს თასამდე დასკვნით ტესტ-მატჩს ისევ შოტლანდიელებთან გამართავენ, ოღონდ ამჯერად ედინბურგში 6 სექტემბერს, „მარიფილდზე“. თამაში თბილისის დროით 22:30 საათზე დაიწყება.

საქართველოს ნაკრებმა თბილისში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: 15. იოსებ მათიაშვილი, 14. მირიან მოდებაძე, 13. ზურაბ ძნელაძე, 12. დავით კაჭარავა, 11. ალექსანდრე თოდუა, 10. თედო აბჟანდაძე, 9. ვასილ ლობჟანიძე; 1. მიხეილ ნარიაშვილი (კაპ.), 2. შალვა მამუკაშვილი, 3. ბექა გიგაშვილი, 4. შალვა სუთიაშვილი, 5. კოტე მიქაუტაძე, 6. ოთარ გიორგაძე, 7. ბექა საღინაძე, 8. ბექა გორგაძე. **შეცვლაზე შევიდნენ:** 16. გიორგი ჭყოიძე, 17. კარლენ ასიეშვილი, 18. ლევან ჩილაჩავა, 19. გიორგი ნემსაძე, 20. ლაშა ლომიძე, 21. გელა აფრასიძე, 22. ლაშა ხმალაძე, 23. თამაზ მჭედლიძე.

საგულისხმოა, რომ საქართველოს ნაკრებს უბრუნდება მამუკა გორგოძე, რომელიც გუნდს მსოფლიოს თასისთვის შეუერთდება,

ლექსო ცინცაძე

◎ სანთელი

ნუგზარ ჯუღელი

ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად 82 წლისა გარდაიცვალა ნუგზარ ჯუღელი.

იგი 1937 წელს დაიბადა. დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი. 1959-1972 წლებში იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი. 1968 წელს მივიდა საქართველოს ტელევიზიაში, სადაც 2004 წლამდე მუშაობდა. მიჰყავდა საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“, აღიარება და პოპულარობა კი სპორტული გადაცემების წაყვანამ და პირდაპირი რეპორტაჟების კომენტატორობამ მოუტანა.

2014 წლის 30 დეკემბერს მთაწმინდაზე, სატელევიზიო ანძასთან, საქართველოს ტელევიზიის პირველი თაობის წამყვანებს ვარსკვლავები გაუხსნეს. მათ შორის არის ნუგზარ ჯუღელის სახელობის ვარსკვლავიც.

ნუგზარ ჯუღელის სამოქალაქო პანაშვიდი ქაშუეთის ეკლესიაში 4 სექტემბერს გაიმართება. ცნობილ ტელეწამყვანს კუკიის სასაფლაოზე, დედის გვერდით დაკრძალავენ.

◎ ნდობა

ჰამანე ნიანგი პრეზიდენტია

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (FIBA) პეკინის XXI კონგრესზე 156 ქვეყნის ეროვნულმა ფედერაციამ FIBA-ს ახალი პრეზიდენტი აირჩია. ფედერაციის პრეზიდენტი გახდა ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი და FIBA-აფრიკის პრეზიდენტი, მალელი **ჰამანე ნიანგი,** რომელიც ადრე სათავეში ედგა მალის კალათბურთის ფედერაციას და, ასევე, იყო მალის სპორტის მინისტრი.

„გამოცხადებული ნდობისთვის მადლობას ვუხდი ყველა ეროვნულ ფედერაციას. პირობას ვდებ, რომ პასუხისმგებლობით მოვეკიდები ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას, ვიდგები FIBA-ს სამსახურში და მსოფლიოს ყველა კუთხეში დავიცავ ჩვენი საყვარელი სახეობის ინტერესებს. ჩვენ ერთად შეგვიძლია გავხდეთ ყველაზე პოპულარული სპორტული ოჯახი,“ — განაცხადა ჰამანე ნიანგმა, რომელმაც FIBA-ს პრეზიდენტის სავარძელი ოთხი წლის ვადით დაიკავა.

ვიტალი ჯაფარიძე



დაწყებულის გასრულება!..

...კარგა ხნის დაწყებული წერილის წერას მოვეჭიდე! — მოტეხილი მარჯვენით!..
...ეს ლექსიც მაშინდელია!

...ძილისპირულზე
„მამაო ჩვენოს“
წაჩურჩულების შემდეგ, —
ვიდრე სიზმარში გავისეირნებ, —
შემოფრენილ სტრიქონებს
ხელისგულზე დავიწერ!..
2013, „ლექსი და სიყვარული“.

...ახლა, ანუ დღეს, ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის თეატრი უკვე საუკუნენახევრისაა!..

თითქმის ათი წელია მას აქეთ, რაც რეზო კლდიაშვილმა მე და რუსუდანი თავისი ახალი პიესის პრემიერაზე დაგვპატიჟა.

რეზოს ეს პიესა, „ზარატუსტრას ჟამი“, რომელმაც 2009 წელს თეატრალური საზოგადოების პრემია დაიმსახურა, როგორც წლის საუკეთესო პიესამ, დადგა რეჟისორმა ირაკლი გოგიამ; ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ავტორი თავად მონაწილეობდა დადგმაში! იქამდე კი — 2003 წლიდან — თვითონ კითხულობდა პიესას სხვადასხვა უნივერსიტეტებში, სკოლებში, პირველად წაიკითხა გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების თბილისის განყოფილებაში; მთავარ ასპარეზად კი ზუგდიდური სცენა იქცა!

ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ყოფილი პრაქტიკანტის საჩუქარი მივიღე — ნინო ჩხიკვიშვილი სწორედ ზუგდიდის თეატრალური ტრადიციით დაინტერესებულა — ამ თეატრის ხასიათის გამო ასე მონათლა თავისი წიგნიც: „ფსიქოლოგიური თეატრის დიდოსტატი“! ეს დითირამბი ხალასია, რაც თემურ ჩხეიძეს თეატრის დასმა „უკარნახა“, და წიგნიც ასე მოინათლა...

ახლა თემურ ჩხეიძის შესახებ ერთ-ერთი საჩინო არტისტის ოლეგ ბასილაშვილის ნათქვამს, ანუ ქებას მივაყურადოთ — მე მომწონს ეს არტისტი და მისი მჯერა, ის წრფელი და გახარებულია: „იგი დიდხანს მუშაობდა ჩვენთან და დადგა რიგი შესანიშნავი სპექტაკლებისა... ...ვფიქრობ თუ თეატრის მთავარი რეჟისორის ადგილს დაიკავებს თ. ჩხეიძე, ეს დიდი შენაძენი იქნება თეატრისათვის...“ (გაზეთი „იზვესტია“, 22 მაისი, 2004 წელი).

...მაგრამ გული მაინც სამშობლოსკენ მოუწევდა და ახლა იგი ზუგდიდის საუკუნენახევრის თეატრის პატრონია (კარგი სიტყვაა „პატრონი“)!

...თემურ ჩხეიძის მამას, ბატონ ნოდარ



ჩხეიძეს, მოწაფეობიდანვე ვიცნობდი — იგი ჩვენთვის უსაყვარლესი მოსწავლეთა სასახლის მხატვრული კითხვის (ძირითადად) მასწავლებელი იყო, თუმცა ამას როდი ჯერდებოდა — იწვევდა საჩვენოდ ცნობილ თეატრალურ მოღვაწეებს — უკვე ხანდაზმულებს, მაგრამ მოზარდებთან შეხვედრა მათთვის ახალგაზრდობაში დაბრუნებას უდრიდა!..

...ნუცა ჩხეიძე — ბევრმა ჩვენმა თანატოლმა როდი იცოდა ამ დიდი ქართველი მსახიობის სახელი; მე რამდენიმე როლი მერგო — მოხსენება მსახიობის შემოქმედების შესახებ (თანაც საღამოს წამყვანიც გახლდით), ლექსიც წავუკითხე დიდი მოკრძალებით, რომელიც

ამ დროს იბადება შემოქმედება

მხატვრული აღზრდის კაბინეტის გამგეს, ქალბატონ ანა ღვინიაშვილსა და თვით საღამოს თაოსანს, ბატონ ნოდარ ჩხეიძეს ძალზე მოეწონათ. სამწუხაროდ, ლექსი დამეკარგა და დასასრულიღა მაგონდება:

„ქართულ სცენის დედოფალო,
ეს დიდება შენ გხვდა წილად!
ჩვენი ქვეყნის სიამაყევ,
ხელოვნების ნინო წმინდავ!“

მას მერე საჯარო ბიბლიოთეკაში რომ შევიდოდი, ამ ბოლო ფრაზით მეგებებოდნენ იქაური ქალბატონები; საჩემო წიგნებიც უმალ გაჩნდებოდა ჩემთვის განკუთვნილ ადგილზე.

ამას მოჰყვა გიორგი დავითაშვილის, ვერიკო ანჯაფარიძის მოწვევაც, და ეს შეხვედრები ისე გახმაურდა, რომ მწერალთა კავშირიდანაც მოდიოდნენ სტუმრად.

— ბატონობით ნუ მომმართავთო, — გვთხოვდა ნოდარ ჩხეიძე და დროდადრო ჩვენს თხოვნასაც ასრულებდა — გვიკითხავდა მამის — პოეტ გიორგი ქუჩიშვილის კილოზე ცნობილ ლექსს:

„ვის უნახავს უმაღლესი
ჯვარის მონასტერი?!
მონასტერში ცხოვრობდაო
ერთი ვინმე ბერი!..
მონასტერი, მონასტერი,
ჯვარის მონასტერი!““

...ეს იყო გარდასახვის საოცარი მაგალითი!.. ალბათ, არსებობს ჩანაწერიც! ხმა „თამაშობდა“ იმიტაციურად — ნეტავ თუ იცის ამის შესახებ მისმა ვაჟიშვილმა? იქნებ მის ახმიანებაში ჩვენი ძვირფასი კოლეგა ბატონი ვანო ჯაფარიძეც დაგვეხმაროს! (სწორედ დღეს შეგვეხმიანა, მომიკითხა ამბროლაურიდან, ისევ „ფორმაშია“! მწერალთა კავშირში გაკეთებული ჩანაწერიც მომართვა — იქვე!).

...შორს წავედი? ასე ცოდნია ასაკს!.. დავუბრუნდეთ მთავარ გმირს — „ფსიქოლოგიური თეატრის დიდოსტატს“, რომლის ავტორიც ნინო ჩხიკვიშვილია; (რედაქტორი მარიკა წულაძე). დიდძალი მასალაა დაუნჯებული ამ შრომაში!.. ერთ-ერთ გადაშლაზე ზურა სტურუას სიტყვა მომხვდა თვალში: „მე ყველაზე მეტად მიყვარს თქვენი მებრძოლი ნიჭი შემოქმედებითი პროცესის დროს. არაფერი შეედრება ამ დროს თქვენს იდუმალებით მოცულ გამოხედვას, რომელშიც ვერასოდეს ამოიკითხავ, „დემონია თუ ანგელოზი“ — და ამ დროს იბადება შემოქმედება.“

შექების ღირსია ამ მოზრდილი კრებულის ავტორი ნინო ჩხიკვიშვილი! მომიტევოს მან, რომ მოტეხილი მარჯვენით მეტს ვეღარ ვწერ! წიგნი წიგნად საგანძურს თამამად გაუტოლდება! გმადლობთ ნინო, გმადლობთ თემურ!

P.S. აქვე ლექსს მივაწერ, რომელიც დაუვიწყარმა წლებმა დამაწერინა!

ტაში

ფარდის გახსნა
ცის გახსნას ჰგავს!
გარინდული ელით,
რომ სასწაულს შეესწრებით
მელპომენას ხემით!..
ცის გახსნას ჰგავს
ფარდის გახსნა!
აღვსებული ღელვით,
არტისტული გაელვებით
არტისტული ვნებით!

. . . . . .

ფარდის გახსნა
ცის გახსნას ჰგავს!..

...მენატრება თეატრი! ჩემი თეატრალური ფარდა XX საუკუნის დამლევს დაიხურა — მოგონებებით ვაცოცხლებ წარსულს!.. — თუმც კვლავ ჩემთანაა!..

ნანა ღვინეფაძე,
29.08.2019.

პოლიციამ თბილისში ბინის ქურდობის ფაქტი აღკვეთა

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 1969 წელს დაბადებული ვ. ბ. ქურდობის მცდელობის ბრალდებით თბილისში დააკავეს. შსს-ს ცნობით, დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„112-ში შევიდა შეტყობინება, რომ თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელ ბინაში უცხო პირი შესვლას ცდილობდა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შეტყობინებაზე მყისიერად მოახდინეს რეაგირება და ვ.ბ. შემთხვევის ადგილიდან ახლოს, რამდენიმე წუთში მაშინ დააკავეს, როდესაც იგი მიმალვას ცდილობდა“, — აცხადებენ შსს-ში.

შეამცირებს „გაერთიანება“ დანაშაულს?

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის გაერთიანება იგეგმება.

შესაბამისი ცვლილებები — „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ კანონში შედის, რომლის ინიცირება ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მოხდა.

ცვლილებების მიხედვით, მათ ბაზაზე დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების, პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის ეროვნული საგენტოს ჩამოყალიბება მოხდება.



კანონპროექტში აღნიშნულია, რომ ცვლილებების შესაბამისად, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სააგენტოს მიზნები, ამჟამად მოქმედი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიზნებთან ერთად, ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციასაც მოიცავს.

საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს

აკადემიის წევრის ვაკანსიებზე ქვემოთ ჩამოთვლილ განყოფილებებში:

მათემატიკის და მექანიკის, კომპიუტერული მეცნიერებების, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიისა და კლიმატოლოგიის, გეოლოგიისა და სამთო მეცნიერებების, ბიოლოგიისა და აგრარულ მეცნიერებათა, სამედიცინო მეცნიერებების, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის, ეკონომიკის, სოციოლოგიისა და სამართლის, პოლიტიკურ და ისტორიულ მეცნიერებათა, ლიტერატურისა და ხელოვნების — თითო ვაკანსია.

კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს — განცხადება, პირადობის მოწმობის ასლი, ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო ხარისხისა და აკადემიური წოდების დიპლომების ასლები, სამეცნიერო შრომების სია, 2 ფოტოსურათი (3 x 4).

საბუთების მიღება იწარმოებს 2019 წლის 10 ოქტომბრამდე შემდეგ მისამართებზე: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 3, თსუ XI კორპ., ოთახი 324 ან თბილისი, მ.კოსტავას ქ. 77, სტუ IV კორპ., ოთახი 403 და 405.

შესაძლებელია საბუთების ელექტრონული ფორმით წარმოდგენა მისამართზე: t.berber@mail.com

ცნობებისათვის: ტელ. 599 61 77 00, 577 30 01 92

„საქართველო – ბუნებრივი ბრილიანტი“

„საქართველო – ბუნებრივი ბრილიანტი“ – ამ სახელწოდებით სტატიას გავლენიანი ამერიკული გამოცემა „თრეველერი“ აქვეყნებს. პუბლიკაციის ავტორის თქმით, „საქართველო მსოფლიოში ყველაზე მიმზიდველ და პერსპექტიულ ტურისტულ მიმართულებად ყალიბდება“.

„საქართველოს მთები, ტაძრები და აქტიური დედაქალაქი ამ ქვეყანაში ვიზიტს დამალული ძვირფასი ქვასავით მიმზიდველს ხდის“, – წერს „თრეველერი“.

სტატიაში დეტალურად არის აღწერილი საქართველოში ვიზიტის დროს აუცილებლად მოსანახულებელი ადგილები. მათ შორის არის თბილისი. „თრეველერი“ მკითხველს ურჩევს საქართველოს დედაქალაქის ისტორიულ ცენტრში ფეხით გაისეირნონ, რაც „ტურისტებს ქალაქის რითმისა და კონტრასტის შეგრძნებაში დაეხმარება“.

„თბილისი არის სტილების ნაზავი, ეს არის ქალაქი, სადაც წარსული და აწმყო ერთმანეთს ავსებს. თბილისს შეუძლია, შეგიტყუოს, მაგრამ ერთი შეხედვით პატარა ქალაქში ყველაფრის სანახავად და ატმოსფეროს შესაგრძნობად რამდენიმე დღეა საჭირო“, – ნათქვამია სტატიაში.



„თრეველერის“ რეკომენდაციაა, დავით გარეჯის, გორის, ბორჯომისა და ფოთის მონახულება.

„საქართველოს კურორტებს შორის ყველაზე ცნობილი არის ბორჯომი. ის მინერალური წყლითაა განთქმული, რომელსაც ქვეყნის ყველა მაღაზიაში იხილავთ“, – წერს ესპანურეოვანი გამოცემა.

სტატიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მესტიას.

„გზა იოლი არ არის. მესტიამდე მისაღწევად დაკლაკნილ ფერდობებზე გასწვრივ გამავალი გზის გავლას რამდენიმე საათი და კარგი საბურავები სჭირდება. მაგრამ, მესტიაში ვიზიტი შეუფასებელი სიამოვნებაა. სვანეთში გადაადგილებისას, თქვენ კავკასიის შუაგულში ხართ და ევროპის ყველაზე მაღალ მწვერვალებს ათვალიერებთ“, – წერს „თრეველერი“.

სტატიის ავტორი საქართველოში ჩასულ ტურისტებს ასევე ურჩევს ადგილობრივი სამზარეულოს დაგემოვნებას.

„ხინკალი, ხაჭაპური, ასევე ლობიოსა და ნიგვზის ნაზავი – მაგრამ ეს უკვე გასტრონომიაა, რომელსაც სხვა სტატიას მივუძღვნიდი“, – აღნიშნავს ავტორი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

„ფორსაჟი 9“-ის ეპიზოდების გადაღებებში ვერტმფრენიც ჩაერთვება

საქართველოში ჰოლივუდის ცნობილი ფილმის „ფორსაჟი 9“-ის (Fast and Furious) მორიგი ეპიზოდების გადაღება, უპილოტო საჰაერო ხომალდების გარდა, ვერტმფრენითაც განხორციელდება.

საჰაერო კინოგადაღება ავიაკომპანია Heli and Co SA-ის კუთვნილი EUROCOPTER AS 355N-ის ტიპის ვერტმფრენით განხორციელდება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ კომპანიას საქართველოს ტერიტორიაზე საავიაციო სამუშაოების (სატელევიზიო და კინოგადაღების ჩატარება) წარმოების ნებართვა 2019 წლის 26 აგვისტოს მიანიჭა. სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორებისა და სპეციალისტების მიერ, ადგილზე მოხდა სპეციალურად მოწყობილი ასაფრენ-დასაფრენი მოედნისა და საფრენი ლოკაციების დათვალიერება. ასევე გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა ტექნიკურ ჯგუფთან და ვერტმფრენის პილოტებთან.

აგვისტოს დასაწყისში, ამავე ფილმის საჰაერო გადაღებებისთვის, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული კომპანიის კუთვნილი რვა ერთეული უპილოტო საჰაერო ხომალდი დარეგისტრირდა და სპეციფიკურ კატეგორიაში ექსპლუატაციის ნებართვა მიენიჭა. ჰოლივუდური ფილმის გადაღება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის – „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში ხორციელდება.

სექტემბრის დასაწყისში წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2-5 სექტემბერს საქართველოში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი.

მათივე ცნობით, ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობში +27, +32, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარში +23, +28 გრადუსი დაფიქსირდება. თბილისში შესაძლოა, მცირე წვიმა აღინიშნოს. ჰაერის ტემპერატურა +26, +28 გრადუსი იქნება.

მატარებლის ვაგონის დათხაპვნა სხვისი ნივთის დაზიანებაა!

თბილისი-ფოთის მატარებლის ვაგონის კედლის მოხატვის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო. როგორც საქართველოს პირველ არხს საქართველოს რკინიგზის პრესსამსახურში განუცხადეს, თანამშრომლებს დილით ვაგონი მოხატული დახვდათ და პოლიცია გამოიძახეს.

„ზუსტად არ ვიცით, ვაგონი როდის მოიხატა. დილით მისულ თანამშრომლებს დახვდათ ასეთ მდგომარეობაში. მაშინვე გამოიძახეს საპატრულო პოლიცია. მეტი ინფორმაცია არ გვაქვს და სხვა დეტალები ჩვენთვის უცნობია, ამას გამოძიება დაადგენს“, – განაცხადეს რკინიგზის პრესსამსახურში. ფაქტზე გამოძიება სსსკ-ის 187-ე მუხლით დაიწყო, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას გულისხმობს.

ოთხი ქართული ფილმი ფესტივალზე

მაკედონიის ქალაქი ბიტოლა 14 -21 სექტემბერს ოპერატორთა საერთაშორისო კინოფესტივალს „მანაკი ბრაზერს“ (MANAKI BROTHERS) უმასპინძლებს.



საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, ფესტივალზე, რომლის ფოკუს-ქვეყანა წელს საქართველოა, ოთხი ქართული ფილმი იქნება წარმოდგენილი: რუსუდან გლურჯიძის „სხვისი სახლი“, თინათინ ყაჯრიშვილის „პატარძლები“, მარიამ ხაჭვანის „დედე“ და ლევან კოღუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“.

„მანაკი ბრაზერს“ (MANAKI BROTHERS) კინოოპერატორთა ერთ-ერთი უძველესი კინოფესტივალია, რომელიც მაკედონიის კინოპროფესიონალთა ასოციაციის ინიციატივით 1979 წელს დაარსდა. იგი ცნობილი ოპერატორი ძმების იანაკი და მილტონ მანაკების სახელს ატარებს.

ფესტივალის ჯილდო „კამერა 300“ არაერთი წარმატებული კინემატოგრაფისტისთვის გადაუცია. მათ შორის არიან მსახიობები დერილ ჰანა, კატრინ დენევი, იზაბელ იუპერი და ჟულიეტ ბინოში. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს „კამერა 300“-ის მფლობელი ქართველი ოპერატორი მინდია ესაძე გახდა მარიამ ხაჭვანის მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის „დინოლა“.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9457; ევრო - 3.2523;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5867;
100 რუბლი - 4.4367; თურქული ლირა - 0.5054;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7327;
1000 სომხური დრამი - 6.1807.

ამინდი 3 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+28
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+28
თბილისი:	ღამე	+16,	დღე	+29

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge